# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 18 თებერვალი 2004 №35 (2054) | ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჟორდანია ბიშოვეცს ადასტურებს, ბიშოვეცი საქართველოს ნაკრებს





*– შევიძლიათ ჩათვალოთ, რომ საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ანატოლი ბიშოვეცია, მასთან კონტრაქტის აბსოლუტურად ყველა დეტალი შეთანხმებულია და მხოლოდ ხელმოწერა დარჩა, რასაც 25-26 თებერვალს გავაკეთებთ*

**ინტერვიუ მერაბ ჟორდანიასთან იხილეთ მეორე გვერდზე**

*საქართველოს ნაკრების ახალი მწვრთნელი ანატოლი ბიშოვეცი სათქმელს უკვე პირდაპირ ამბობს, თუმც, კონტრაქტის გაფორმებამდე, უმარილოდ*

გუშინ ანატოლი ბიშოვეცს იმ დროს დავუკავშირდით, როცა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიასთვის პასუხი — თანახმა ვარ! — ახალნათქვამი ჰქონდა.

— დიახ, მერაბ ჟორდანიასთან უკვე მოვილაპარაკე, ყველაფერზე შევთანხმდით.

— ინგლისში რატომ მიემგზავრებით?

— მენეჯერს უნდა შევხვდე და გარკვეული საკითხები მოვაგვარო.

— თბილისში როდის ჩამოხვალთ?

— ალბათ, ერთ კვირაში, თუმც იქამდე მე და ჟორდანია ერთმანეთს კიდევ დავუკავშირდებით.

— დავწეროთ, რომ ანატოლი ბიშოვეცი საქართველოს ნაკრების მწვრთნელია?

— დაწერეთ, რომ ანატოლი ბიშოვეცსა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას შორის არის პრინციპული შეთანხმება.

— ეს რას ნიშნავს?

— კონტრაქტს რომ გავაფორმებ, საქართველოს ნაკრების მწვრთნელი მაშინ ვიქნები.

*კობა ინასარიძე*

# ჟორდანია ადასტურებს ბიშოვეცი



*— შეგიძლიათ ჩათვალოთ, რომ საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ანატოლი ბიშოვეცია, მასთან კონტრაქტის აბსოლუტურად ყველა დეტალი შეთანხმებულია და მხოლოდ ხელმოწერა დარჩა, რასაც 25-26 თებერვალს გავაკეთებთ — გვითხრა გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ, რომელსაც კვიპროსზე დავუკავშირდით*

მაშ ასე — ეროვნული გუნდის ახალი მწვრთნელის ვინაობასთან დაკავშირებული ყველანაირი ჭორვარაუდი აქ უნდა დამთავრდეს — საქართველოს ნაკრები ანატოლი ბიშოვეცისაა.

მერაბ ჟორდანიასა და მწვრთნელს შორის საბოლოო მოლაპარაკება, რომელიც კვიპროსზე მიმდინარეობდა, მოსალოდნელზე მეტ ხანს გაგრძელდა, საკონტრაქტო წვრილმანები მოულოდნელად მსხვილმანებად იქცა. ბიშოვეცი კონტრაქტის თითოეულ პუნქტს ჩაკირკიტებით განიხილავდა.

საბოლოო მოლაპარაკებისას საბოლოო და მთავარი სიტყვა კი მწვრთნელმა გუშინ უთხრა ფედერაციის პრეზიდენტს და ათ დღეში თბილისში შეხვედრამდე დაემშვიდობა.

ბიშოვეცი კვიპროსიდან ინგლისს გაემგზავრა პირად საქმეთა მოსაგვარებელ-მოსამთავრებლად. ლონდონიდან მოსკოვს გაფრინდება, იქაც პირად საქმეებს მოაგვარებს და თბილისში კონტრაქტის გასაფორმებლად ჩამოვა.

იქამდე კი, ვიდრე კონტრაქტს ხელმოწერები დაერთვება, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მერაბ ჟორდანიას ეს ინტერვიუ წაიკითხეთ.

**— აქამდე რატომ გაჭიანურდა ბიშოვეცთან შეთანხმება? ახალი მწვრთნელის ვინაობა ხომ ორშაბათს უნდა გამოგეცხადებინათ...**

— ანატოლი ბიშოვეცს კვიპროსზე ჩამოსვლისთანავე შევხვდი და მოლაპარაკება დავიწყეთ. ჩემთვისაც კი მოულოდნელი იყო, რომ დეტალებზე შეთანხმებამ სამი დღე წაიღო. ყოველდღე სამი-ოთხი საათი ვსაუბრობდით, ყველა წვრილმანს მისხალ-მისხალ განვიხილავდით. ბიშოვეცი საქმეს ისე მიუდგა, როგორც ნამდვილი პროფესიონალი. მას მიაჩნია, რომ საქართველოს ნაკრების სათავეში მოსვლით სამწვრთნელო კარიერას სასწორზე დებს. თუ ჩვენთან მუშაობისას არაფერი გამოუვიდა, ჩათვლის, რომ კარიერა წარუმატებელი ჰქონდა. თუმც ისიცაა, რომ ბიშოვეცი საქართველოს ნაკრებში დიდ პოტენციალს ხედავს და წარმატებისა სჯერა. მასთან ბოლოდროინდელმა ურთიერთობამ ეს აზრი საბოლოოდ ჩამომიყალიბა — ჩვენს ნაკრებს ბიშოვეცი სჭირდება და გამოადგება.

**— დეტალებზე, წვრილმანებზე მოლაპარაკებამ მოულოდნელად დიდი დრო წაიღო, თქვით. კი მაგრამ, ასეთს რას ითხოვდა ბიშოვეცი, ამდენ ხანს რომ ვერ შეთანხმდით?**

— ხომ გითხარით, ჩვენი ნაკრების მწვრთნელობით ის კარიერას სასწორზე დებს. ამიტომაც ყველა საკითხს, როგორც უმნიშვნელოვანესს, ისე განიხილავდა. მაგალითად, მოითხოვა საკონტრაქტო სისტემა, ნაკრების ყველა ფეხბურთელთან ინდივიდუალური ხელშეკრულების გაფორმება, გუნდში სამედიცინო პერსონალის რაოდენობის გაზრდა და ასე შემდეგ. რაც ვთქვი, რა თქმა უნდა, წვრილმანები არ არის, მაგრამ მის ამ მოთხოვნებს მართლაც ბევრი წვრილმანი მოჰყვა.

**— თქვენი მოთხოვნა კი, რა თქმა უნდა, საქართველოს ნაკრების მსოფლიოს ჩემპიონატზე გაყვანა იქნებოდა.**

— დიახ, მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშია ჩვენი მოთხოვნა.

**— კონტრაქტის ვადა?**

— შესარჩევი ციკლის ბოლომდე, თუმც არაა გამორიცხული, ბიშოვეცი ჩვენთან მეტ ხანსაც დარჩეს.

**— როდის გაფორმდება?**

— ეს-ესაა, ბიშოვეცს დავშორდი. ის ლონდონში გაფრინდა. საქმე ისაა, რომ მას გარკვეული ვალდებულებები ჰქონდა, ის კი კორექტული პიროვნებაა და სურს, პირადი საქმეები დელიკატურად მოაგვაროს. 23 თებერვალს ბიშოვეცი ლონდონიდან მოსკოვში ჩაფრინდება, იქაც პირად საქმეებს მოაგვარებს და 25 ან 26 თებერვალს თბილისში კონტრაქტზე ხელმოსაწერად ჩამოვა.

**— ესე იგი, კვიპროსის ტურნირზე გუნდს ბიშოვეცი არ უთავკაცებს...**

— კარგი იქნებოდა ნაკრებს კვიპროსზე ახალი მწვრთნელის ხელმძღვანელობით ეთამაშა, მაგრამ ობიექტურ მიზეზთა გამო ეს ვეღარ მოესწრო. სამწუხაროა, რომ ასე მოხდა. ამ ტურნირს იმ მიზნისთვის ვეღარ გამოვიყენებთ, რისთვისაც გათვალისწინებული გვქონდა. პირველადაა, როცა ჩვენს ლეგიონერებს ვამართლებ, უმწვრთნელო ნაკრებში ჩამოსვლისგან თავი რომ შეიკავეს. მესმის, მათ საფუძვლიანი პრეტენზია ჰქონდათ.

**— ბიშოვეცთან კიდევ რაზე ისაუბრეთ?**

— ზოგადად ქართულ ფეხბურთზე. მას საკმაოდ კარგი წარმოდგენა აქვს ჩვენს ფეხბურთზე. აკი ვთქვი კიდეც, ბიშოვეცი საქართველოს ნაკრებში უდიდეს პოტენციალს ხედავს და სჯერა, რომ ძლიერი გუნდის გაკეთებას შეძლებს.

**— კიდევ? კიდევ რა შეგიძლიათ თქვათ ახალ მწვრთნელზე?**

— მოლაპარაკებისას ვიგრძენი, რომ მისი განწყობა ძალიან აზარტულია. ზედმეტად გაღიზიანებული მეჩვენა რუსეთსა და უკრაინაში მიმდინარე გარკვეული საფეხბურთო საქმეების გამო. ბიშოვეცს ჩვენთან მუშაობისას სურს, თავისი სიძლიერე ერთხელაც დაამტკიცოს, დაამტკიცოს, რომ პოსტსაბჭოურ სივრცეში მისი დონის სპეციალისტი არ არის.

**— თანაშემწედ ბიშოვეცი, ალბათ, მის მუდმივ თანმხლებ ვასილი კულკოვს ჩამოიყვანს...**

— არა, სხვათა შორის, ის თანაშემწეებად ქართველების აყვანას აპირებს, თუმც მათი ვინაობა არ დაუკონკრეტებია. რუსები იქნებიან ნაკრების სამედიცინო პერსონალში. უფრო სწორად, რუსეთში მცხოვრები ქართველები.

**— ზურაბ ორჯონიკიძე? ის ბიშოვეცის დროინდელ რუსეთის ნაკრებშიც მუშაობდა.**

— ისინი კარგი მეგობრები არიან. თუმც ბიშოვეცს არ გადაუწყვეტია მას ჩამოიყვანს თუ სხვას. რუსულ ფეხბურთში ორჯონიკიძის გარდა, კიდევ ორი ქართველი ექიმია. მას სურს, რომ ჩამოიყვანოს ერთი ფარმაკოლოგი და რამდენიმე სხვადასხვა პროფილის ექიმი.

**— მოკლედ, ბიშოვეცი ნაკრების მწვრთნელია და თანახმაა, რომ გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატზე სათამაშოდ მოამზადოს.**

— სხვანაირად მას ვერც კი წარმოუდგენია. ეს არის ჩვენი კატეგორიული მოთხოვნაც. ბიშოვეცმა ხაზგასმით თქვა, საქართველოში სხვა მიზნით ვერ ვიმუშავებო. ახალი მწვრთნელისა და ჩვენი მიზანი ერთია — მსოფლიოს ჩემპიონატი.

და ბოლოს: მერაბ ჟორდანიას თქმით, როცა რუს-უკრაინელებზე გაღიზიანებულ ბიშოვეცს, საქართველოს ნაკრების მწვრთნელობა შესთავაზეს, სამეგობროში უთქვამს — ბლოხინს კიევშიც და თბილისშიც მოვუგებ!

ბლოხინის გარდა ჯგუფში რეჰაგელი, გიუნეში, ბრიგელი, ოლსენი და პახომოვი გვყავს!

მათაც უნდა მოუგოს...

**კობა ინასარიძე**

# თამაში დაჯერებაზე

## ტყებუჩავა და ნაცრისფერი ნივთიერება



*დღეს კვიპროსის საერთაშორისო ტურნირი იწყება და საქართველოს ეროვნული ნაკრები რუმინეთს შეხვდება. ამ ტურნირზე ჩვენს ეროვნულ გუნდს გოჩა ტყებუჩავა უთავკაცებს, ვისაც თანაშემწედ ნიკა ჩხეიძე ჰყავს. აქვე შეგახსენებთ, რომ ტყებუჩავა 2000-01 წლების სეზონის მეორე ეტაპზე თბილისის „დინამოს“ ედგა სათავეში და ჩხეიძე მაშინაც მისი დამხმარე იყო, ბოლოს კი ტყებუჩავა და ჩხეიძე ახალგაზრდულ ნაკრებში მუშაობდნენ რევაზ არველაძის თანაშემწეებად*

გუშინ ჩვენმა ნაკრებმა ლიმასოლში მესამე ვარჯიში ჩაატარა. ყველა ფეხბურთელი ჯანზეა, გრიპშეყრილი რევაზ ქემოკლიძეც მომჯობინდა. ტყებუჩავა-ჩხეიძის განკარგულებაში 18 კაცია — ***მეკარეები:*** *დავით გვარამაძე, ზურაბ მამალაძე (ორივე „დინამო“);* ***მცველები:*** *გიორგი შაშიაშვილი, მამუკა წერეთელი (ორივე „დინამო“), რევაზ ქემოკლიძე („თბილისი“), ალეკო ამისულაშვილი („დინამო“, უკრაინა);* ***ნახევარმცველები:*** *ლევან მღრაძე (აელ, კვიპროსი), გიორგი გაბიდაური („ანართოსისი“, კვიპროსი), დავით კვირკველია, გიორგი ნემსაძე, ალეკო გოგობერიშვილი (სამივე „დინამო“), ლევან კორღალიძე („სკონტო“, ლატვია), დავით სირაძე („უნიონი“, გერმანია), ვიტალი დარასელია („ალანია“, რუსეთი), გიორგი ქინქლაძე (უგუნდო);* ***თავდამსხმელები:*** *სანდრო იაშვილი, ლადო ახალაია, ლევან მელქაძე (სამივე „დინამო“).*

ტურნირში რვა გუნდი მონაწილეობს და აქედან ექვსი, მათ შორის ჩვენი ნაკრებიც, სასტუმრო „მირამარეშია“ დაბინავებული. საქართველოს ნაკრები სასტუმროსთან ახლოს მდებარე მინდორზე ვარჯიშობს და მწვრთნელ-ფეხბურთელებიც არაფერს უჩივიან — პირობები მაღალ დონეზეა.

რუმინელებთან მატჩი ლარნაკაში გაიმართება იმ სტადიონზე, რომელზეც „ანართოსისი“ თამაშობს. თემურ ქეცბაია ყოველდღე აკითხავს მშობლიურ ნაკრებს. ლიმასოლის სასტუმროდან ამ სტადიონამდე დაახლოებით 60 კილომეტრია — ფეხბურთელებს მომქანცველი მგზავრობა არ მოუწევთ. მატჩი ჩვენი დროით 18 საათზე დაიწყება. კვიპროსზე ამინდიც ჩინებულია — ტემპერატურა 16-18 გრადუსია.

ულეგიონერებო რუმინეთის ნაკრები რამდენიმე დღეა, ლიმასოლშია შეკრებაზე. გუშინ კი ანგელ იორდანესკუს გუნდს ლეგიონერებიც დაემატნენ — ჩვენს წინააღმდეგ რუმინელები ალბათ უძლიერესი შემადგენლობით წარდგებიან.

რუმინეთის ნაკრებიც „მირამარეშია“. იქვეა უნგრეთის ნაკრებიც, რომელსაც ლოთარ მათეუსი წვრთნის.

გოჩა ტყებუჩავას კი, ვისაც პირველი და რთული გამოცდა დღეს ელის, გუშინ შევეხმიანეთ...

— ვარჯიშებმა ნომალურად ჩაიარა და განწყობაც კარგია. რუმინეთის ნაკრები რა დონისაა, მოგეხსენებათ, მაგრამ ის ფეხბურთელები, რომლებიც ახლა არიან ჩვენს განკარგულებაში, შესაძლოა, მალე დამკვიდრდნენ ეროვნულ გუნდში — ეს ტურნირი მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

— რას ნიშნავს თქვენთვის ის, რომ ამ ტურნირზე ჩვენს ეროვნულ გუნდს ხელმძღვანელობთ?

— ეს ჩემთვის ბედნიერებაა. რუმინელმა კორესპონდენტებმა ინტერვიუ ჩამომართვეს, მერე კი იორდანესკუ მოვიდა ჩემთან და გამომელაპარაკა. ერთი სიტყვით, ძალიან დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობ.

— როგორ აპირებთ წამყვანი ლეგიონერების გარეშე რუმინელებთან გამკლავებას?

— ვეცდებით, სივრცე შევზღუდოთ, უფრო უკნიდან, კონტრშეტევაზე ვითამაშოთ, ბურთის ართმევის და შეტევის დროს ერთად უნდა ვიყოთ.

— როგორ ფორმაშია გიორგი ქინქლაძე? ის სასტარტო შემადგენლობაში იქნება?

— ქინქლაძე ნორმალურ ფორმაშია, მაგრამ ახლა ვერ გეტყვით, იქნება თუ არა ის სასტარტოში.

— ლადო ბურდულის არყოფნაში მარჯვენა ფლანგზე ლადო ახალაიას გაამწესებთ?

— თუ ორი ფორვარდით ვითამაშებთ, ახალაია ერთ-ერთი მათგანი იქნება, თუ არა, მარჯვენა ფლანგზე ითამაშებს.

— ასეთ შემთხვევაში ეული ფორვარდი სანდრო იაშვილი იქნება?

— შეიძლება ასეც იყოს. იაშვილის მზადყოფნით და მონდომებით კმაყოფილი ვარ.

— არცთუ დიდი სამწვრთნელო გამოცდილება გაქვთ — როგორ ფიქრობთ, ფეხბურთელებს სჯერათ თქვენი?

— ეს შეგიძლიათ ფეხბურთელებსაც ჰკითხოთ. ისე კი, ბიჭები, ასე ვთქვათ, ამყვნენ და რასაც ვეუბნები, მაქსიმალურად ასრულებენ.

— ფეხბურთელების დარწმუნება იმაშიც მოახერხეთ, რომ რუმინეთის ნაკრებთან ტოლ-სწორად შეიძლება თამაში?

— იცით რა, რუმინეთის ნაკრებს ყველა წამყვანი ფეხბურთელი ჰყავს და მათ წინააღმდეგ თამაში შეუძლებელია — ჩვენს ფეხბურთელებს ეს ტვინიდან უნდა ამოვუღო. არანაირი შიში, მხოლოდ საომარი განწყობა, თამაშის შემდეგ საკუთარი თავის არ უნდა შევრცხვეს — ამას ვეუბნები ფეხბურთელებს.

**დავით თავართქილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# რას უშვრებით თქვენს ნიჭს?

## გენერალ იორდანესკუს მხარზე გაკვირვებული ანგელოზი უზის

*დღეს საქართველოს განახევრებულ-ექსპერიმენტული ნაკრები კვიპროსის საერთაშორისო ტურნირის პირველ მატჩში რუმინეთს შეხვდება. ქართველებს ბოლო კვიპროსული ტურნირის ბოლო თამაში სწორედ რუმინელებთან აქვთ წაგებული მატჩისშემდგომი პენალტებით.*

*რუმინელებს ქართველებთან სათამაშოდ დღეს გენერალი ანგელ იორდანესკუ დამოძღვრავს, ევროსანაკრებო ფეხბურთში ცნობილი სპეციალისტი*

კვიპროსზე ჩასულ გენერალ იორდანესკუს გუშინ შევეხმიანეთ, რუმინეთის ნაკრების ვარჯიშამდე მცირე ხნით ადრე...

**— რა მიზანი აქვს რუმინეთის ნაკრებს კვიპროსულ ტურნირზე?**

— აქ თამაში მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპისთვის პირველი მოსამზადებელი რაუნდია გვაქვს. ბუნებრივია, მაქსიმალურად შევეცდები ახალწვეულთა გასინჯვას. მსურს, ისინი ძირითად ბირთვთან შევათამაშო. ამიტომაც კვიპროსზე ბევრი ახალგაზრდა ჩამოვიყვანე, თუმც მყავს ლეგიონერებიც და რუმინეთში საუკეთესო ფეხბურთელებიც. ჩემი უმთავრესი საზრუნავი ნაკრების დაბალანსებაა და იმედი მაქვს, ამაში სამი კვიპროსული მატჩიც შემეშველება.

**— შედეგი ამ ეტაპზე მეორეხარისხოვანია?**

— მიუხედავად იმისა, რომ კვიპროსული ტურნირი არცთუ პრესტიჟულია, შედეგი მაინც არ არის ჩვენთვის მეორეხარისხოვანი თუნდაც იმიტომ, რომ აქ გამარჯვება ფსიქოლოგიურად დიდ სამსახურს გაგვიწევს, მეტ სტიმულს მოგვცემს. ამიტომაც რუმინეთი გამარჯვებაზეც იფიქრებს.

**— პირველი მატჩი ქართველებთან გაქვთ. რა იცით, რას იტყვით თქვენს მეტოქეზე?**

— ნიჭიერი ფეხბურთელი ბევრი გყავთ. ყოველთვის მიკვირდა, რატომ ვერ ახერხებდით წარმატებას, ალბათ ამ პრობლემას დრო და გამოცდილება უშველის.

**— ჩანს, ქართულ ფეხბურთზე გარკვეული წარმოდგენა გაქვთ...**

— რა თქმა უნდა, პირადად ვიცნობ თქვენი ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელს. ქართულ საფეხბურთო წრეებში ბევრი მეგობარიც მყავს, თუნდაც ვავა. დიდად მოხარული ვარ, როცა ვნახულობ ხოლმე.

**— უკაცრავად, ვავა ვინ არის?**

— ვავა გუცაევი... თბილი, მეგობრული კაცია, მისი კარგი ფეხბურთელობაც მახსოვს.

**— გასაგებია... ქართველები ოპტიმალური შემადგენლობით ვერ ჩამოვიდნენ კვიპროსზე, თქვენ კი, ფაქტობრივად, ყველა სასურველი ფეხბურთელი იახლეთ, ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ პირველ მატჩში გაისეირნებთ?**

— მე ასე არ ვფიქრობ. ხომ ვთქვი, ახალგაზრდების გამოცდა მსურს, ამიტომაც მგონია, რომ საინტერესო და დაძაბული თამაში იქნება.

**— ვიცით, რომ კვიპროსზე ანატოლი ბიშოვეცს შეხვდით...**

— დიახ, ვესაუბრე მას და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას არჩევანს ვუწონებ, ჩინებული სპეციალისტია. ბიშოვეცს წარმატებები ვუსურვე. იმედი მაქვს, საქართველოს ნაკრებს მისი ცოდნა და გამოცდილება წარმატებას მოუტანს.

**პაატა ქვანტალიანი**

# არიფსფორი ყოფილა მეკარემაც, კაცო?!

გუშინ „ამერის“ 17-წლამდელთა შემადგენლობა თურქეთის მეორე ლიგის B კატეგორიის (18-წლამდელები) მოყვარულთა გუნდს „გიუფენსფორს“ შეხვდა და იოლად დაამარცხა — 8:1.

უხვგოლიან მატჩში ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს. თურქთა მეკარის წამოწყებული შეტევა ორსვლიანი გამოდგა. ცენტრში ჩაგდებული ბურთი ერთი შეხებით თბილისელთა საჯარიმოში შეჭრილ ფორვარდს მიაწოდეს და მანაც ზუსტად დაჰკრა. სულ ეს იყო, რაც ოსმალებმა მოახერხეს. ამის მერე „ამერმა“ იძალა და მეტოქე კარიდან ბურთის გამოტანას ვერ აუდიოდა.

კუსრაშვილმა საჯარიმოს გარედან ცხრიანში გაიტანა, რასაც წინამძღვრიშვილის დუბლი მოჰყვა, გოცირიძემ კი სხვაობა სამამდე გაზარდა.

შესვენების მერე, 15-წუთიან მონაკვეთში, ჯერ განუგრავამ, მერე გოცირიძემ თითოჯერ კიდევ იხეირეს.

ამ დროისთვის, რაკი ყველაფერი უკვე გარკვეული იყო, თამაზ კოსტავამ გოცირიძე მეკარე თევდორაძით შეცვალა, რამაც თამაში გაახალისა. თევდორაძემ ფორვარდის თვისებები გამოავლინა, კოლეგას ერთი გოლი პენალტით გაუტანა, მატჩის მიწურულს კი მეორედაც „დაასაჩუქრა“.

„ამერმა“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: თევდორაძე (ჩაფიძე 46), გვაძაბია, ფირანიშვილი, ელბაქიძე, განუგრავა, კუსრაშვილი, მჭედლიშვილი, ნიკოლაიშვილი (აბაშიძე 46), ჩიმაკაძე, წინამძღვრიშვილი, გოცირიძე (თევდორაძე 60)

„ამერი“ დღეს ლატვიურ „რიგას“ შეხვდება, საღამოს კი თბილისში დაბრუნდება.



ვაჟა ხუციშვილის ფოტო

რევაზ თევდორაძემ ერთი გოლი გაუშვა და ორი გაიტანა

**ვაჟა ხუციშვილი ანთალიიდან**

*საქართველოს ნაკრების მცველი კახა კალაძე, როგორც იქნა, სერია A-ში გამოჩნდა. იტალიური „მილანის“ ქართველ მარცხენაფლანგელს, გეხსომებათ, ჩემპიონატის პირველი წრე მძიმე ტრავმის გამო გაუცდა, ახლა კი, საბედნიეროდ, კვლავ მწყობრშია და კვირას ლეჩეში 90 წუთი შეუცვლელად ითამაშა.*

*კალაძე ფორმას კი იბრუნებს, მაგრამ სერია A-ს ლიდერ „მილანს“ ზედიზედ ორი მატჩია (ჯერ „ლაციოსთან“ შერცხვა იტალიის თასზე, მერე „ლეჩესთან“ ფრე იყო), არ მოუგია და იტალიაშიც „როსონერის“ შესაძლო კრიზისზე ალაპარაკდნენ.*

*კალაძეზე უკეთ ზემოთქმულში ვინ გაგვარკვევდა და ჩვენც მას მილანში დავუკავშირდით. საქართველოს ზედიზედ სამგზის საუკეთესო ფეხბურთელმა კლუბზე, „ინტერთან“ მოახლოებულ დერბიზე და, რაღა თქმა უნდა, ეროვნულ გუნდზეც გვითხრა...*




# კალაძემ ბიშოვეცი არ იცოდა ის კი იცის, რომ მენტალურად ჯერ კიდევ იქ ვართ...

— ვფიქრობ, სერიოზული არაფერი მომხდარა, კრიზისზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. „ლეჩე“ ძალიან კარგი გუნდია და მერე რა, რომ სერია A-ს ერთ-ერთი აუტსაიდერია, თანაც სტუმრად ვთამაშობდით. პირველი ტაიმი აშკარად ჩავაგდეთ, მეორეში უკეთ ავთამაშდით. კიდევ კარგი ისე მოხდა, რომ ქულები ჩვენმა მდევარმა „რომამაც“ დაკარგა.

**— მოგება შეიძლებოდა?**

— რა თქმა უნდა, მაგრამ არ გაგვიმართლა. იყო მსაჯის შეცდომებიც: ერთ-ერთ ეპიზოდში ლეჩელი მცველი ტომასონის წაქცევისთვის გასაძევებელიც იყო, თუმც მსაჯებზე გამოკიდება არ გვჩვევია და შეხვედრა რომ ვერ მოვიგეთ, არბიტრს არ ვადანაშაულებთ. მეორე ტაიმში „ლეჩე“ აშკარად დავჩაგრეთ, მომენტებიც საკმაო გვქონდა, მაგრამ...

**— ეგ კარგი, მაგრამ „ლაციოსთან“ რა მოხდა, ასე რატომ შერცხვით?**

— რა გითხრა, არც ვიცი. ალბათ უფრო დებიუტშივე გაშვებულმა გოლებმა მოგვშალა და ავირიეთ. თანაც პირველი მატჩი შინ 1:2 გვქონდა წაგებული. რომაელებს „ოლიმპიკოზე“ 70 ათასი მაყურებელი მხურვალედ ქომაგობდა. თასს „ლაციოსთვის“ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს და ალბათ ამიტომაც ჩადეს თამაშში სული და გული.

**— ამბობენ, „მილანს“ მოტივაცია არ ჰქონდაო. მართლა უგულოდ ითამაშეთ?**

— უმოტივაციობაზე ლაპარაკიც ზედმეტია. უბრალოდ, „ლაციოსთან“ საზიზღრად გამოვიყურებოდით და თამაში აშკარად ჩავაგდეთ. ახლა გაათმაგებული კონცენტრაცია გვმართებს ჩემპიონთა ლიგაზე და სკუდეტოს მოსაგებად.

**— შაბათს დერბია „ინტერთან“. მარად მოქიშპე თანაქალაქელებთან პაოლო მალდინი არ გეყოლებათ...**

— მალდინი დისკვალიფიკაციის გამო კი დაგვაკლდება, მაგრამ ვერც „ინტერი“ მოუყრის თავს საუკეთესო შემადგენლობას. ბევრი ტრავმირებული ფეხბურთელი ჰყავთ, თანაც მცველები. მე მგონი, არც საუკეთესო ფორმაში არიან, მაგრამ ეს ჩვენ არანაირ უპირატესობას არ გვაძლევს — დერბი დერბია და ერთმანეთს თავს შევაკლავთ. ძალიან სერიოზულად ვემზადებით და არა მარტო შაბათის მატჩისთვის. ჩვენთვის ახლა ყველა შეხვედრას ზეპრინციპული მნიშვნელობა აქვს: ჩემპიონატშიც და ლიგაზეც ყურადღების წამიერად მოდუნებაც კი დამღუპველია. ახლა მხოლოდ „ინტერზე“ ვფიქრობთ, ყველანაირად ვეცდებით, უნდა მოვუგოთ.

**— ნაკრებზეც გკითხავ. ალბათ გეცოდინება, რომ მწვრთნელად ანატოლი ბიშოვეცის დანიშვნაა გადაწყვეტილი...**

— არ ვიცოდი, პირველად მესმის.

**— რას იტყვი, გეშველება რამე?**

— კაცს ჯერ მუშაობაც არ დაუწყია და ცუდი როგორ ვთქვა?! ყველაფერი მალე გამოჩნდება. ქართველი გულშემატკივარი საკუთარი თვალით დაინახავს, გაამართლებს თუ არა ბიშოვეცი.

**— გატყობ, ფედერაციის არჩევანით კმაყოფილი არა ხარ...**

— რა არის იცი? საქართველოს ნაკრები ჩემი ქვეყნის გუნდია, მასზე გული შემტკივა და ვფიქრობ, რაღაც მეთქმის კიდეც. მე ყოველთვის ვამბობდი და ახლაც ამ აზრზე ვარ, რომ ჩვენ გვინდა ძალიან სერიოზული, გამოცდილი, საქმის ზედმიწევნით მცოდნე, პრინციპული, მომთხოვნი და აუცილებლად ტაქტიკოსი მწვრთნელი. არა მარტო იტალიაში, ევროპაში ასეთები მრავლად არიან. ჩვენ კი... მთელი მსოფლიო, ევროპა წინ მიდის, ყოველთვის უკეთესზე და განვითარებაზე ფიქრობს, ჩვენ კი ერთ ადგილს ვტკეპნით. ისევ იმ საბჭოთა მენტალიტეტში ვტრიალებთ. ერთი სიტყვით, ვნახოთ, წინ წავიწევით თუ უკან წავალთ. ისე, ამაზე უკან სადღა უნდა წავიდეთ...

**გიორგი ვაშაკიძე**

*დავით ჩალაძემ კიევის „არსენალთან“ ერთად თურქული შეკრება გაიარა და ორიოდ დღეა, თბილისში დაბრუნდა. ქართველ თავდამსხმელს უკრაინელებისთვის საბოლოო პასუხი ჯერ არ უთქვამს – კონტრაქტის გაფორმებაზე თავს იკავებს. კიეველთა სურვილის მიუხედავად, ჩალაძეს ჯერაც რუსული კლუბების იმედება და „არსენალთან“ ურთიერთობის გარკვევას არ ჩქარობს. სხვა დანარჩენს კი მისი ნაუბრიდან შეიტყობთ...*

# ჩალაძემ შკრაინა თადარიგში დასვა



— რომელი კლუბები არიან შენით დაინტერესებული?

— ახლა ვერაფერს გეტყვი. რეალური ჯერ არაფერია.

— იმედი არ გაქვს?

— ვნახოთ... თუ არ გამოვიდა, მაშინ კიევიდან დამირეკავენ და „არსენალში“ გადავალ.

— შენი და სილაგაძის „რუბინიდან“ წასვლა ძალიან უცნაური იყო...

— ასეც ხდება. კონტრაქტი დაგვიმთავრდა, ეტყობა, არ უნდოდათ ჩვენი დატოვება და წამოვედით.

— **კონტრაქტის გაგრძელება ხომ შემოგთავაზეს?**

— კი, მაგრამ ისეთი პირობებით... ერთი სიტყვით, „რუბინს“ დავშორდი.

— **არადა, გუნდის ბომბარდირი იყავი, უეფას თასზეც გახვედით, თითქოს ყველაფერი აწყობილი გქონდა... გული არ გწყდება?**

— არა, გული ნაღდად არ მწყდება. ფეხბურთელისთვის გუნდის გამოცვლა ტრაგედია არ უნდა იყოს, ასეთი რამეები ხშირად ხდება. უეფას თასზე რომ ვერ ვითამაშე, არც ესაა მოუნელებელი. ბოლოს და ბოლოს, ჯერ კიდევ ბიჭი ვიყავი, „სკონტოში“ უეფას თასზე რომ ვითამაშე.

— **არსენალსა“ და „რუბინს“ შორის განსხვავება დიდია?**

— „რუბინი“ უფრო სოლიდური გუნდია. ბევრი ცნობილი ფეხბურთელიც გვყავდა და სადებიუტო სეზონში პრემიერლიგაც ავალაპარაკეთ.

— **როგორც ჩანს, „არსენალში“ გადასვლაზეც ამიტომ ჭოჭმანობ...**

— ეგრეა. უკეთესი ვარიანტის იმედი მაქვს.

— **მენეჯერი გყავს თუ თავად ეძებ ახალ კლუბს?**

— არის ხალხი, რომლებიც მუშაობენ ამ საკითხზე. „რუბინიც“ დაინტერესებულია ჩემი ტრანსფერით...

— **ეგ როგორ? „რუბინთან“ კონტრაქტი ხომ დაგიმთავრდა?**

— მაინც „რუბინის“ ფეხბურთელად ვითვლები. თუ რუსეთის რომელიმე კლუბში გადავედი, „რუბინი“ გარკვეულ კომპენსაციას მიიღებს.

— **პრობლემა სხვა რამეცაა: რუსული კლუბები უკვე თითქმის დაკომპლექტებულია...**

— ეგ არაფერი. ჯერ ერთი, რუსეთში უცნობი ფეხბურთელი არ ვარ, მეორეც — ორი წლის წინაც ასე იყო, ბოლო შეკრებაზე შევუერთდი „რუბინს“ და დავრჩი კიდეც...

— შეკრება დაგვიმთავრდა და თბილისში დავბრუნდი. რამდენიმე დღე აქ გავჩერდები და მერე ვნახავ, რა როგორ იქნება.

— **კი მაგრამ, „არსენალს“ ხომ შეკრება დღეს უმთავრდება...**

— ეგრეა, მაგრამ მერე თურქეთიდან თბილისში წამოსვლა გაჭირდებოდა, რეისი გუშინწინ იყო და მე და ლევან სილაგაძე ორი დღით ადრე გამოგვიშვეს.

— **„არსენალთან“ კონტრაქტის თაობაზე არ გილაპარაკია?**

— თითქმის ყველაფერი შეთანხმებულია, მაგრამ ჯერჯერობით თავს ვიკავებ.

— **რატომ?**

— კიდევ ველოდები სხვა ვარიანტებს. თუ არ გამოვიდა, მაშინ კიევში წავალ. იქ ნებისმიერ წუთს მელოდებიან.

— **როდის გაირკვევა ეგ ამბავი?**

— ერთ კვირაში. მერე ძალიან დაგვიანდება და უგუნდოდ ხომ არ დავრჩები?!

— **ალბათ რუსეთში დარჩენა გსურს...**

— რა თქმა უნდა. რუსული პრემიერლიგა უფრო მაღალი დონის ჩემპიონატია. ამიტომ უკეთესი იქნება, თუ რუსეთში გავაგრძელებ კარიერას.

**ქახა შალამბერიძე**

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია
თანაუგრძნობს საფეხბურთო კლუბ
„ლუკას“ პრეზიდენტს სულხან გოგიბერიძეს
მამის
გარდაცვალების გამო

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის II შესარჩევი ჯგუფი
## ჩვენი მეტოქეები

### უკრაინა

# ვიზიტი პოლკოვნიკთან



**უკრაინის ნაკრების ლიდერი ანდრეი შევჩენკო ლიბიაში თანაგუნდელთა საქომაგოდ ჩავიდა**

**გუშინ** უკრაინის ეროვნულმა ნაკრებმა პირველად შედგა ფეხი შავ კონტინენტზე და დღეს „ლურჯ-ყვითლები“ პოლკოვნიკ მოამარ კადაფის ქვეშევრდომთა ნაკრებს გაეჯიბრებიან.

1970 წლის 11 ივნისს ბოლო ამერიკელმა ჯარისკაცმა დატოვა ტრიპოლი და დამოუკიდებლობამოწყურებულმა ლიბიის სახალხო სოციალისტური ჯამაჰირიის ამაყმა მოქალაქეებმა ამ დღის აღსანიშნავად ქვეყანაში ყველა მნიშვნელოვან ნაგებობას „11 ივნისი“ დაარქვეს. ბუნებრივია, ასე ჰქვია იმ სტადიონსაც, სადაც დღეს ბურთს გააგორებენ უკრაინელები და მსოფლიო რეიტინგში 83-ე ადგილზე მყოფი ლიბიელები. სხვათა შორის, ამ 45-ათასიან არენაზე 2002 წელს „იუვემ“ და „პარმამ“ იტალიური თასის ფინალი ითამაშეს.

რახანია, ცნობილი იყო, რომ ოლეგ ბლოხინს ექსპერიმენტული შემადგენლობა ჩაჰყავდა საკადაფეთში. ბლოხინი ერთბაშად ხუთ დებიუტანს უპირებს გამოცდას და ბევრიც ისეთი ჰყავს, სანაკრებო მაისურა ერთი-ორჯერ რომ მოურგია.

ტრიპოლიში ნაკრებთან ერთად უნდა გამგზავრებულიყო „ზენიტის“ ნახევარმცველი ალექსანდრ სპივაკიც, თუმც ეს ფეხბურთელი ტელეფონით დაუკავშირდა ბლოხინს და მოულოდნელი გადაწყვეტილება ამცნო — ნაკრებისკენ გამხედი აღარ ვარ, საერთოდ არ ვაპირებ ეროვნულ გუნდში თამაშსო. ბლოხინს ვულვერჰემპტონელი მცველი ოლეგ ლუჟნიც დაუკავშირდა კაცური სიტყვით — კლუბის ძირითადში ვერ ვხვდები, ფორმიდან ამოვვარდი და რომ არ შევრცხვე, ნაკრებში ერთხანს ნუ მიხმობთო.

ცნობილთაგან ბლოხინმა მეკარე შოვკოვსკი და შემტევი სერგეი რებროვი ჩაიყვანა ტრიპოლიში. გამოძახებულთა შორისაა კიოლნელი ვორონინიც.

ლიბიის ყველაზე ცნობილი ფეხბურთელი კი მოამარ კადაფის ვაჟი, „პერუჯას“ ვითომ მოთამაშე საად კადაფია, რომელიც ამავე დროს ლიბიის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტიცაა. დოპინგტესტზე ჩაფლავებულმა საადმა დისკვალიფიკაცია მოიხადა და დღეს ალბათ ითამაშებს.

ლიბიელებს ხორვატი სპეციალისტი ილიე ლონკარევიჩი წვრთნის, ეს კაცი ცოტა ხნის წინ ზაგრების „დინამოს“ სპორტული დირექტორი იყო.

# ოტოს მეთოთხმეტეც უნდა

### საბერძნეთი



**ოტო რეჰაგელის** გაწვრთნილი ბერძნები დღეს ბულგარელებს ვერ გამოუყვანენ მადრიდის „ატლეტიკოს“ შემტევს დემის ნიკოლაიდისს — მას ბავშვი შეეძინა. ხოლო მცველმა პარასკევას ანცასმა უარი თქვა ნაკრებში თამაშზე, ის „ოლიმპიაკოსიდან“ მესამე ლიგის ერთ-ერთ გუნდში გადავიდა, პროფესიულ კარიერას უნდა შეეშვაო.

ტრავმების გამო რეჰაგელის განკარგულებაში არ არიან ოლიმპიაკოსელი მცველი ვენეტიდისი და მეკარე კატერიანაკისი; შეუძლოდაა მილანის „ინტერის“ ნახევარმცველი კარაგუნისიც.

საბერძნეთის ნაკრებს ზედიზედ 13 მატჩია, არ წაუგია და რეჰაგელიც დასძენს: „მინდა, რომ ბიჭებმა დაცვაში ძლიერად ითამაშონ, როგორც ამას წინა შეხვედრებში ვაკეთებდით. ეს ამხანაგური მატჩი კია, მაგრამ ჟინიანი თამაში გვმართებს, რათა წაუგებელი სერია გავაგრძელოთ“.

ტრავმით გამოწვეული ორთვიანი შესვენების შემდეგ ნაკრებში დაბრუნდება „პანათინაიკოსის“ შემტევი დიმიტრიოს პაპადოპულოსი, ვინც სასტარტოში იქნება, ხოლო ბრემენის „ვერდერის“ ფორვარდი ანგელოს ხარისტიასი ოღონდ მეორე 45 წუთს ითამაშებს — ასე უთქვამს გუშინ რეჰაგელს.

# ექსპერიმენტი სამი ფორვარდის წინააღმდეგ

### თურქეთი VS დანია

**მატჩი** ადანაში გაიმართება და ერთმანეთს ჩვენი ორი სამომავლო მეტოქე ერკინება.

თურქები საუკეთესო შემადგენლობას არ გაიყვანენ დანიელებთან. ოსმალოთა მთავარსარდალი შენოლ გიუნეში ახალი თაობის გამოცდას აპირებს და ოთხი წამყვანი ფეხბურთელის გარეშე შეებრძოლება დანიას — ილდირაი ბაშთურქი, უმით დავალა, ილჰან მანსიზი და ჰაქან შუქური დღეს ნაკრებისგან დაისვენებენ, ხოლო ემრე ბელოზოღლუ ტრავმირებულია. „თვალთახედვა და რწმენა არ შეგვიცვლია. მტკივნეული პერიოდის წინაშე ვდგავართ და მოთმინება ყველას მართებს“ — განაცხადა გიუნეშმა.

დანიელებს ექვსი ტრავმიანი არ ეყოლებათ — კასპერ ბოგელუნდს, კრისტიან პოულსენს, დენის რომედალს და პეტერ ლოვენკრანდსს გუშინდელი ვარჯიშის მერე ძმები იენსენები, დანიელი და ნიკლასი მიემატნენ.

სკანდინაველთა დამრიგებელი დიდი თავდაჯერებით ამბობს, რომ ადანაში სამი ფორვარდით ითამაშებს. „რამდენადაც უფრო მეტ მატჩს ვიგებთ, ვიდრე ვაგებთ, ეს სისტემა ამართლებს“ — განაცხადა მორტენ ოლსენმა. მან უკვე დაასახელა შემტევი სამეული — იესპერ გრონკიაერი, იონ დალ ტომასონი და მარტინ იორგინსენი. შალკელი ებე სანდის გარდა სათადარიგოებში მოუწევს ყურყუტი ბოხუმელ პეტერ მადსენს, ვინც ბუნდესლიგის ბოლო ტურში სამქულიანი გოლი გაუტანა მიუნხენის „ბაიერნს“ — ბოხუმელებს ბავარიელებისთვის 1985 წლის აქეთ არ მოეგოთ.

### ალბანეთი

# ლიკა, დღეს შენი ცვლაა

**„ქემალ სტაფაზე“** ალბანელი „არწივები“ შვედებს დაუხვდებიან. დღეს მასპინძელთა გერმანელი მწვრთნელის, ჰანს-პეტერ ბრიგელის უმთავრესი ამოცანა რეზერვისტთა შემოწმებაა. ამიტომ, ბრიგელმა, შესაძლოა, გამოცდილი ფოტო სტრაკოშას ნაცვლად კარის დაცვა ერიონ ლიკას ანდოს. ცხადია, ბრიგელმა გამოცდილი ლეგიონერებიც მიიწვია. ახალბედა კი სულ ოთხია, ზემოხსენებული ლიკას გარდა, ბილა, ნდრეკა და ალბერტ დურო.

შვედთა სამწვრთნელო დუეტი სოდერბერგ-ლაგერბეკი „ასტონ ვილას“ მცველ ოლოფ მელბერგს მოისაკლისებს, სხვები კი ჯანზე და საბრძოლველად შემართულნი არიან.

# ამხანაგური მატჩები. დღეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პორტუგალია — ინგლისი

# კბილის მოსინჯვა ფაროში

## ფიგუ ასიანს უმიზნებს



მაიკლ ოუენი სასტარტოში იქნება

**დღეს** მზიურ და კურორტობით ცნობილ ფაროში პორტუგალიის ნაკრები ინგლისისას მასპინძლობს. თამაში მნიშვნელოვანია გუნდებისთვისაც და უსაფრთხოების სამსახურებისთვისაც, რომელთაც პირველად უნდა გამოსცადონ თავიანთი ხერხები „ალგარვეს“ ახალ, 30-ათასიან სტადიონზე. თანაც, მატჩი შეიძლება იყოს პრელუდიაც მოახლოებული ევრო-2004-სა, რომლის მასპინძელიც პორტუგალიაა და რომლის მეოთხედფინალშიც პორტუგალიელთა და ინგლისელთა შეხვედრაა შესაძლებელი.

თანაც, ეს მატჩი მე-100 სანაკრებო იქნება ლუიშ ფიგუსთვის, თუ, რა თქმა უნდა, ის ითამაშებს. ინგლისს ახლავს მხოლოდ 2,500 გულშემატკივარი, თუმც ფაროს 1 - კურორტო ზონაში უამრავი ინგლისელი ცხოვრობს და მათგან ბევრს ბილეთი აქვს. ზაფხულში ფაროში ბევრი ინგლისელი, გერმანელი და ჰოლანდიელი ტურისტი ჩავა, პორტუგალიელებს კი შეუმუშავებიათ ხულიგნობასთან ბრძოლის ეგრეთწოდებული „მეგობრული“ ხერხი, რომელიც დღეს პირველად ამოქმედდება.

საფეხბურთო ამბავი კი ასეთია: პორტუგალია და ინგლისი იმ შემთხვევაში შეხვდებიან ერთმანეთს ევრო 2004-ზე, თუ მასპინძლები A ჯგუფს მოიგებენ, ინგლისელები კი B-ჯგუფში მეორეზე გავლენ. 4 წლის წინათ, ევრო-2000-ზე, ინგლისი 2:0-ს უგებდა პორტუგალიას და ბოლოს 2:3 წააგო.

იმ დღის გმირი სწორედ ფიგუ იყო, რომელსაც ახლა მსუბუქი ტრავმა აქვს.

„ძალიან ამაყი ვარ, რომ მეასე მატჩი მელის — უთხრა მან „ბოლას“ — ასიანი სხვა რიცხვია“.

დაშავებულნი არიან „ბენფიკას“ ნუნუ გომეში და „ტოტენჰემის“ ელდერ პოსტიგა, ამიტომ ლუიშ ფელიპე სკოლარი სანაკრებო დებიუტს უმზადებს „ლეირიას“ უგო ალმეიდას და ალბათ ათამაშებს მანჩესტერელ კრისტიანო რონალდოსაც.

1947 წელს ინგლისმა 10:0 მოუგო პორტუგალიას, მაგრამ ის დროება ახლა შორის არის. სვენ გორან ერიკსონი უფრო ფრანგებზე, ხორვატებსა და შვეიცარიელებზე ფიქრობს, ვიდრე დღეს აუცილებელ მოგებაზე. შვედმა თავისი სასტარტო დიდი ხანია იცის, მაგრამ, ჩვეულებისამებრ ექსპერიმენტს გასწევს მეორე ტაიმში დასჯილი რიო ფერდინანდის, ტრავმირებული სოლ კემპბელის და ჯონ ტერის არყოფნის გამო, დაცვის ცენტრში ლედლი კინგს ვიხილავთ, რომლისთვისაც ეს მატჩი ნაკრებში სადებიუტო იქნება. ვერ ითამაშებს სტივენ ჯერარდი, მაგრამ მის ნაცვლად იქნება ფრენკ ლამპარდი. თავდასხმაში ერთი დანაკლისია — დარიუს ვესელი ავად გახდა. მაიკლ ოუენი და უეინ რუნი თერთმეტ კაცში იქნებიან, თუმცა, ალბათ, ალან სმიტიც გამოჩნდება.

**ირაკლი გამყრელიძე**




თუ ტრავმამ ხელი არ შეუშალა, ლუიშ ფიგუ მეასე სანაკრებო მატჩს ითამაშებს

### სავარაუდო შემადგენლობები

| პორტუგალია | ინგლისი |
| --- | --- |
| რიკარდუ, მონტეირუ, ფ. კოუტუ, ჟორჟე ანდრადე, რუი ჟორჟე, ფიგუ, კოშტინია, ტ. მენდეში, რუი კოშტა, პაულეტა, კ. რონალდო | ჯეიმსი, ფ. ნევილი, კინგი, საუთგეიტი, ე. კოული, ბექემი, ლამპარდი, სქოულზი, დაიერი, ოუენი, რუნი |



კრისტიანო რონალდოს დღეს მანჩესტერელი თანაგუნდელების წინააღმდეგაც მოუწევს გაბრძოლება

# ყველაზე დიდი დანაკლისი ყველაზე პატარაა



ოტო ბარიჩის ნახევარი ხორვატია გამოაკლდა

## ხორვატია — გერმანია

დღეს სპლიტში ხორვატია დაბეჩავებული შემადგენლობით დაუხვდება გერმანიის ნაკრებს. ხორვატებს ლამის ნახევარი გუნდი დაშავებული ჰყავთ და მათი მწვრთნელის, ოტო ბარიჩის თავისტკივილიც ეს არის.

დღეს დებიუტი ექნება ბრემენის „ვერდერის“ 24 წლის ხორვატ ივან კლასნიჩს, ვინაც ბრწყინვალედ თამაშობს გერმანულ ბუნდესლიგაში.

თუმცა ხორვატებს არ ეყოლებათ „იუვენტუსის“ ცენტრალური მცველი იგორ ტუდორი და „ანკონას“ გარემარბი მილან რაპაიჩი.

დაშავებულია ლისაბონის „ბენფიკას“ ფორვარდი ტომო შოკოტაც, რომელმაც გადამწყვეტი გოლი გაუტანა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის საპლეიოფო მატჩში სლოვენიელებს. შოკოტა წინა კვირაში დაშავდა.

ასევე წინა კვირაში მიიღო ტრავმა პორტსმუთელმა ივიცა მორნარმა.

და მიუხედავად ამდენი ცნობილი ფეხბურთელის არყოფნისა, ოტო ბარიჩის მთავარი დანაკლისი ზაგრების „დინამოს“ 19 წლის გამთამაშებელი ნიკო კრანკარია.

ბარემ აქვე გავიხსენოთ, რომ ევროპის ჩემპიონატზე ხორვატთა მეტოქეები საფრანგეთი, ინგლისი და შვეიცარია იქნებიან, გერმანიას კი ჰოლანდიასთან, ჩეხეთთან და ლატვიასთან მოუწევს საქმის გარკვევა.

ხორვატიის და გერმანიის ბოლო ოფიციალური შეხვედრა კი, 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში, ხორვატთა საარაკო გამარჯვებით დასრულდა.

გერმანიას არ ეყოლება მიხაელ ბალაკი, რომელზეც მწვრთნელმა რუდი ფიოლერმა თქვა, ეს ძალიან ცუდი ამბავია, რაკი მიხაელი ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელიაო.

გრიპი შეეყარა და ნაკრებს ასევე გამოაკლდა მცველი მარკო რემერი. კვირას არ უვარჯიშია ნახევარმცველ კარსტენ რამელოს, ვინაც მუხლი დაიშავა, მარგამ დღეს ეგებ თამაში შეძლოს.

ლივერპულელ დიტმარ ჰამანს, თუ ითამაშა, ორმოცდაათი სანაკრებო კეპი დაუგროვდება, შტუტგარტელი მცველის, ფილიპ ლამისთვის კი დღევანდელი მატჩი სადებიუტო იქნება.

**ირაკლი ნინიძე**



მიხაელ ბალაკი
გერმანიას ვერ დაეხმარება

### სავარაუდო შემადგენლობები

| ხორვატია | გერმანია |
| --- | --- |
| პლეტიკოშა, შიმიჩი, რ. კოვაჩი, ბ. ჟივკოვიჩი, შიმუნიჩი, ბაბიჩი, ნ. კოვაჩი, როსო, სრნა, პრსო, კლასნიჩი | კანი, ფრიდრიხი, ვიორნსი, ნოვოტნი, ბაუმანი, შნაიდერი, რამელო, ფრინგსი, ჰამანი, ბობიჩი, კურანი |

# ამხანაგური მატჩები. დღეს

## ბელგია — საფრანგეთი



სიდნეი გოვუს და ოლივიე დაკურის ანცობას ჟაკ სანტინი ზედაც არ უყურებს

## სანტინი ფრანგებს წამებს უთვლის

**ბელგიაში** ფრანგ თავდამსხმელებს მიაქციეთ ყურადღება — ტიერი ანრი და დავიდ ტრეზეგე, ანუ ევროპის ჩემპიონთა მთავარი ფორვარდები დაშავებულნი არია, ასე რომ, მწვრთნელს ჟაკ სანტინის ექსპერიმენტის ჩატარება და სხვათა გამოცდა მოუხდება. თქვა კიდევაც სანტინიმ:

„ანრი და ტრეზეგე ჩვენი წამყვანი ფეხბურთელები არიან, თუმცა, როგორც ხედავთ, ისინი ვერ ითამაშებენ, ხოლო ასეთ დროს გამოსავლის თუ ალტერნატივის მოფიქრება მწვრთნელის მოვალეობაა“.

მწვრთნელმა კი, როგორც ჩანს, „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავდამსხმელის, ლუი საჰას და „ლიონიდან“ გამოძახებული პეგი ლუინდულას მოსინჯვა გადაწყვიტა.

ლუინდულამ საფრანგეთის პირველობაზე კვირას გამოიჩინა თავი, მისმა გუნდმა „ოსერს“ 2:1 მოუგო და ორივე გოლი მან გაიტანა, ხოლო საჰას ამბავი უფრო ცნობილია, რადგან ის „მანჩესტერ იუნაიტედში“ გამოდის, ხოლო ამ კლუბის თითოეულ ნაბიჯს საგანგებოდ აშუქებენ მთელს მსოფლიოში — საჰამ, რაც „მანჩესტერში“ გადავიდა, უკვე სამი გოლი შეაგდო.

ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრებამდე საფრანგეთის ნაკრებს სამი ამხანაგური მატჩი აქვს დარჩენილი, მაგრამ ამ მატჩებს, ისევე როგორც საკუთრივ ჩემპიონატს, თავდამსხმელი ჯიბრილ სისე მხოლოდ მაყურებლის როლში შეხვდება, რადგან ნოემბერში, ახალგაზრდულ ნაკრებთა შეხვედრაში მეტოქის დარტყმისთვის უეფამ ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა.

საეჭვოა „მანჩესტერ სიტის“ თავდამსხმელის, ნიკოლა ანელკას ამბავიც. მას მერე, რაც 2002-ში ამხანაგურ თამაშზე გამოძახება არად ჩააგდო, მას ეროვნულ გუნდში არც უთამაშია.

„ვინაიდან გუნდში კონკურენციაა ჩვენი თამაშის ყოველ წუთს დეტალურად გავაანალიზებთ, ამასთან ნებისმიერმა მოთამაშეს იცის, რომ თუნდაც რამდენიმე წამით ცუდად თამაშისთვის დაისჯება“ — ამბობს მწვრთნელი, რომელმაც შესაძლოა ლიონელი, სიდნეი გოვუ და სტივ მარლეც ათამაშოს.

„სტივი და სიდნეი „ლიონში“ თამაშობდნენ ერთად. ორივენი მონაწილეობდნენ კონფედერაციათა თასზე იაპონიასთან შეხვედრაშიც, ასე რომ, შეთამაშებული წყვილია“ — განმარტავს ის.

სხვათა შორის, არ არის გამორიცხული ზემოხსენებული მარლე მწვრთნელმა ლუინდულასთან შეაწყვილოს, მოსალოდნელია კაპიტნის, მარსელ დესაის თამაშიც. მას 18 იანვრის შემდეგ აღარ უთამაშია და უნდა დაატკიცოს, რომ ისევ ნაკრებში თამაშის ღირსია.

საფრანგეთის ნაკრების ბოლო თამაში გერმანელთა 3:0 ძლევა გახლდათ. ეს იყო სტუმართა, ანუ ფრანგთა ზედიზედ მეცამეტე მოგება. აღსანიშნავია, რომ მათ ერთი წლის წინ ჩეხებთან 0:2 მარცხის შემდეგ თამაში აღარ წაუგიათ.

ბელგიელებს არ ჰყავთ კაპიტანი ბარტ გოორი ბერლინის „ჰერტადან“, ხოლო „მანჩესტერ სიტის“ მცველი დანიელ ვან ბუიტენი საზარდულის ტრავმის გამო საეჭვოა მოედანზე გავიდეს — ის ნაკრების ვარჯიშზე დაშავდა. დაცვის ცენტრში სავარაუდოდ „ანდერლეხტის“ 17 წლის მცველი ვინსენტ კომპანი დადგება.

**პაპუნა ძიძია**

### სავარაუდო შემადგენლობები

| ბელგია | საფრანგეთი |
|---|---|
| დე ფლიგერი, დეფლანდრე, კომპანი, სიმონსი, ვან დამი, ბასეჯიო, კლემანი, ვან დერ ჰიდენი, მ. მპენზა, სონკი, ბუფელი | ბარტეზი, ტურამი, დესაი, გალასი, ლიზარაზუ, მაკელელე, ვიეირა, პირესი, ზიდანი, მარლე, გოვუ (ან ლუინდულა) |

## პლატინის ეიზელზე მეფე ბოდუენიც ვერ მიიყვანს

**მიშელ პლატინი** „ეიზელზე“ ვერ დაბრუნდება. დიახ, 1985 წლის 29 მაისის შემდეგ დიდი ფრანგი ფეხბურთელი არასდროს ყოფილა სარბიელზე სადაც „იუვენტუსისა“ და „ლივერპულის“ შეხვედრის წინ ინგლისელ ქომაგთა აგრესიის გამო ტრიბუნა ჩაინგრა და 39 ადამიანი შეიწირა. ის თამაში „იუვენტუსმა“ 1:0 მოიგო. გოლი პლატინიმ გაიტანა პენალტით.

აღდგენილ „ეიზელს“ კი სახელი გამოუცვალეს, „მეფე ბოდუენი“ დაარქვეს და მანაც ოთხი წლის წინ ევრო 2000-ს უმასპინძლა. აქ გაიმართა პირველობის გახსნის ცერემონიალი და რამდენიმე მატჩი ნახევარფინალის ჩათვლით, ხოლო დღეს „მეფე ბოდუენზე“ ამხანაგური შეხვედრაა, ბელგია საფრანგეთის წინააღმდეგ.

„მას მერე არ ვყოფილვარ — უთხრა პლატინიმ ბელგიურ ინტერნეტ სერვერს, როდესაც ჰკითხეს, აპირებს თუ არა დღევანდელ თამაშზე თამაშზე დასწრებას — მიჯობს „ეიზელზე“ არ ვილაპარაკო, ამ თემაზე საერთოდ ვერიდები საუბარს, მგონი არასდროს დადგება დღე, როდესაც ფიზიკურად და მენტალურად მზად ვიქნები ამ სარბიელზე დასაბრუნებლად“.

შემდეგ პლატინის გაახსენეს, რომ მან იმ დღეს გოლი ხელალმართულმა გამოქცევით იზეიმა.

„ხალხი ათას რამეს ფიქრობს და ამბობს, მაგრამ ისინი მოედანზე არ იყვნენ და მომხდარი შიგნიდან არ უნახავთ, არ განუცდიათ. მათ არ იციან, რა ვნახეთ და ვიცოდით ან არ ვიცოდით ფეხბურთელებმა, მაგრამ ასეა თუ ისე, ეს ყველაფერი წარსულია. ოღონდ წარსული, რომელმაც მოურჩენელი იარა დატოვა“ — მიუგო ევროპის ზედიზედ სამგზის საუკეთესო ფეხბურთელმა.

**პაპუნა ძიძია**



მიშელ პლატინის „მეფე ბოდუენზე“ ფეხს ვერ მიადგმევინებ

## იტალია — ჩეხეთი



პაველ ნედვედი



სტეფანო ფიორე

## გამომდევნეთ ვაგონს, ჯერ დროა!

**ჯოვანი ტრაპატონის** ჩეხებთან პალერმოში დანიშნული მატჩი თითქოს სათადარიგო მოთამაშეთა გამოსაცდელად სჭირდებაო — სამი ახალწვეული ჰყავს, პარმელი ნახევარმცველი სიმონე ბარონე და „სამპდორიას“ წევრები, სტეფანო ბეტარინი და სერჯო ვოლპი. პირველი მცველია, მეორე ნახევარმცველი.

სანამ ეს ტრიო საკმაოდ გვიან, მაგრამ მაინც ცდილობს პორტუგალიისკენ მიმავალ მატარებელზე შეხტომას, არიან ფეხბურთელები, რომლებიც ხელახლა ლამობენ გამოიყენონ თავიანთი შანსი. მაგალითად, „იუვენტუსის“ წევრის, მაურო კამორანეზის არყოფნაში „ბოლონიას“ მარჯვენა ნახევარმცველს, კარლო ნერვოს ეძლევა თავის გამოჩენის შესაძლებლობა. ასევე უბრუნდება სანაკრებო ფეხბურთს „ლაციოს“ ნახევარმცველი სტეფანო ფიორე, რომელიც სერია A-ში ჩინებულად თამაშობს და ქომაგებს ევრო 2000-ის დროინდელ თავს ახსენებს.

დაცვაში „მილანის“ გამოცდილი მოთამაშე ჯუზეპე პანკარო და ინტერელი დანიელე ადანი შესაძლოა, მათვე გასაკვირად გაემგზავრონ პორტუგალიაში (ცხადია, თუ დღეს მოაწონებენ ტრაპატონის თავს), ხოლო თავდასხმაში ჩეხთა პოზიციებს ვერ შეუტევენ რომაელი ანტონიო კასანო და მილანელი ფილიპო ინძაგი. ისინი დაშავებულნი არიან.

ჩეხთაგან იტალიელებს ევროპის 2003 წლის საუკეთესო მოთამაშე პაველ ნედვედი დააწიოკებს. მან ძალიან კარგად იცის მასპინძელთა სისუსტეები, რადგან „იუვენტუსში“ თამაშობს. სტუმრებს ეყოლებათ დებიუტანტებიც — ვაცლავ დრობნი „სტასბურიდან“ და დავიდ როზენალი „ბრიუგედან“. მათ კარს დაიცავს პრაღის „სპარტას“ მეკარე იარომირ ბლაჟეკი. ის იტალიელებს 24 თებერვალსაც შეხვდება, რადგან „სპარტას“ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში „მილანი“ ერგო. ზოგადად კი ჩეხეთის ნაკრების მთავარი მეკარე პეტრ ჩეხია, მაგრამ მას იდაყვი სტკივა.

**პაპუნა ძიძია**

### სავარაუდო შემადგენლობები

| იტალია | ჩეხეთი |
|---|---|
| ბუფონი, ოდო, ნესტა, ფერარი, ბეტარინი, ფიორე, პირლო, პეროტა, ტოტი, ვიერი, დელ პიერო | ბლაჟეკი, გრიგერა, ბოლფი, დრობნი (ან როზენალი), იანკულოვსკი, პობორსკი, გალაშეკი, ნედვედი, როსიცკი, კოლერი, ჰაინცი |

# ამხანაგური მატჩები. დღეს

## ესპანეთი — პერუ

# კაცი მინდვრის გაღმიდან



ინაკი საესი

**ესპანეთის** ნაკრების მწვრთნელი ინაკი საესი იმედოვნებს, რომ პერუელებთან თამაში ორი პრობლემის გადასაჭრელად გამოადგება. მართალია, საესს პორტუგალიაში წასაყვანთა სრული სია უკვე ჩამოწერილი აქვს, მაგრამ თავდამსხმელისა და მარცხენა მცველის ვინაობა ჯერ საბოლოოდ არ გაურკვევია.

„პოზიცია, რომელიც ყველაზე მეტად მაფიქრებს, ეგრეთ წოდებული მეცხრე ნომერი ანუ ცენტრალური თავდამსხმელია — ამბობს მწვრთნელი — ჩვენს გუნდს გოლების გატანა უჭირს და ამიტომ გამოკვეთილი ბომბარდირი სჭირდება“.

ცხადია, რომ ერთ-ერთ თავდამსხმელად ნაკრების კაპიტანს, რაულს ვიხილავთ, მაგრამ მეორე ფორვარდის პოზიციაზე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მწვრთნელს ფიქრი სჭირდება და ვინაიდან შეხვედრა ბარსელონაში, „მონჟუიკის“ სტადიონზეა დანიშნული, შესაძლოა, მეცხრე ფუნქცია „ესპანიოლის“ თავდამსხმელს რაულ ტამუდოს შესთავაზოს.

ტამუდოს გოლის გატანა ნამდვილად ეხერხება, თუმცა, მიმომხილველები ფიქრობენ, რომ ესპანეთის გუნდის პრობლემებს იგი მაინც ვერ აღმოფხვრის და ამიტომ მასთან ერთად, სავარაუდოდ, „დეპორტივოს“ თავდამსხმელ ალბერტ ლუკეს ათამაშებენ.

გაოცება და თან საყოველთაო კი იმან გამოიწვია, რომ ნაკრების შემადგენლობაში არ არის შეყვანილი „მონაკოს“ ფორვარდი ფერნანდო მორიენტესი, რომელიც არც მეტი, არც ნაკლები, ბრწყინვალე ფორმაშია. ამბობენ, საესი მის გამოძახებას მომავალ შეხვედრებში აპირებსო.

ახლა კი მარცხენა ფრთას მივხედოთ, სადაც საესის მოსაწონი არავინ გამოჩენილა და ამიტომ კაცს მარჯვენა ფრთიდან სესხულობს — ბარსელონელი კარლეს პუიოლი მთელს მოედანს გადაკვეთს, რათა მისმა ნაკრებმა გოლი აქეთა მხრიდან არ გაუშვას. ამ პოზიციაზე დამკვიდრების შანსი აქვს „რეალის“ მცველს რაულ ბრავოსაც, რომელიც მადრიდში ცენტრალური მცველის საქმითაა დაკავებული.



რაულ ტამუდო

პერუ კი ის გუნდია, რომელმაც სამხრეთ ამერიკის შესარჩევში ბრაზილიასთან ფრე 1:1, ხოლო პარაგვაისთან 4:1 ითამაშა და ცხადია, ესპანელებს რიგიან შემოწმებას ჩაუტარებს.

ამ მატჩის შემდეგ ესპანელებს კიდევ ორი ამხანაგური რჩებათ ევრო 2004-მდე. ისინი დანიას და იტალიას შეხვდებიან.

**პაპუნა ძედია**

### სავარაუდო შემადგენლობები

| ესპანეთი | პერუ |
|---|---|
| კასილიასი, სალგადო, ელგერა, მარჩენა, პუიოლი, ბარახა, ალბელდა, ვისენტე, ვალერონი, რაული, ტამუდო | იბანიესი, სოტო, რებოსიო, გალიკიო, იდალგო, სოლანო, პალასიოსი, სიურლიცა, ხაიო, მენდოსა, პიზარო |

# 5:0 და დიდი ბოდიში

## კლაუდიო პიზარომ გასახდელში ბომბი ააფეთქა

*პერუელი კლაუდიო პიზარო დღეს საკუთარი ნაკრების შემადგენლობაში კატალონიურ „მონჟუიკზე“ ესპანეთის ეროვნულ გუნდს ამხანაგურად შეერკინება, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ ჩემპიონთა ლიგაში მიუნხენის „ბაიერნის“ რიგებში მადრიდის „რეალთან“ უწევს — როგორც თავად ამბობს — სამკვდრო-სასიცოცხლო ომი. „ბერნაბეუზე“ პიზაროს გაცოფებული ინჩასები ელოდებიან, რამეთუ ცხელსისხლიანმა სამხრეთამერიკელმა კასტილიელთა გადაკიდება უკვე მოასწრო — სტუმრად „ბაიერნის“ 5:0 გამარჯვება ივარაუდა. პერუელ ლეგიონერს ესპანური „ლიბრედირექტო“ ესაუბრა*

— ესპანეთის ნაკრები ამხანაგური შეხვედრისთვის კარგი პარტნიორია?

— დიახ, ამ მატჩს ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. პირინეელთა წინააღმდეგ ბრძოლა საკუთარი ძალების სრულად შეფასებისთვის კარგ შანსია. წინ ხომ სამხრეთამერიკული შესარჩევები გველოდება.

— მენდოსა, იდალგო, თქვენ... პერუს ამჟამად ფრიად კარგი შემადგენლობა ჰყავს...

— გეთანხმებით და ვფიქრობ, ეროვნული გუნდის დონე მომავალში უფრო აიწევს. განსაკუთრებით უცხოეთში მოთამაშე ლეგიონერების იმედი მაქვს. მწვრთნელიც თავისი საქმის მცოდნეა.

— თქვენს ამჟამინდელ ევროპულ კლუბზე, მიუნხენის „ბაიერნზე“ ვისაუბროთ. რა არის გერმანული სუპერგუნდის სადღეისო ჩავარდნის მიზეზი?

— მიუხედავად იმისა, რომ „ბაიერნში“ გარკვეული პრობლემები მართლაც არსებობს, ჯერჯერობით მეორე ადგილს მაინც ვინარჩუნებთ და ბუნდესლიგის ლიდერის წაბორძიკების შემთხვევაში პირველზე გადასვლაც შეგვიძლია. „ვერდერამდე“ მხოლოდ 8 ქულა გვაშორებს, რასაც, ჩემი აზრით, კატასტროფას ნამდვილად ვერ დავარქმევ.

— იქნებ სჯობდეს, უფრო მეტი ყურადღება ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებას დაუთმოთ?

— რატომღაც ისეთი შთაბეჭდილება გაქვთ, რომ ბუნდესლიგაზე „ბაიერნმა“ უკვე ხელი ჩაიქნია. ეს სავსებით მცდარი მოსაზრებაა. ჩემპიონობის შანსი ჯერ არ დაგვიკარგავს და ლიგისთვისაც ჯეროვანი დატვირთვით ვემზადებით. ორივე ეს ტურნირი ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია და შეძლებისდაგვარად ორივეში გამარჯვება გვსურს.

— ლიგის მერვედფინალში მადრიდის „რეალთან“ გიწევთ დაპირისპირება. მადრიდელებს ფავორიტად თვლით?

— „რეალს“ ბრწყინვალე ფეხბურთელები ჰყავს და მსოფლიოს მედიამ ტყუილად არ უწოდა ამ გუნდს „გალაქტიკური“, თუმცა გპირდებით, მადრიდულ-მიუნხენური მატჩი სამკვდრო-სასიცოცხლო ომი იქნება, რომელსაც ფავორიტები და აუტსაიდერები არ ეყოლება.

— ესპანელებთან ბრძოლას, ეტყობა, ფრიად იმედიანად ელოდებით...

— „ბაიერნმა“ ქვეყნის პირველობაზე ბოლო რამდენიმე თამაშში თავი ვერ გამოიჩინა, მაგრამ მე ჩემი გუნდის ფსიქოლოგიას ვიცნობ და ვიცი, როცა საჭიროა, ქვეყნად ნებისმიერი გუნდის დამარცხება შეგვიძლია.

— ბევრი ამ მერვედფინალს უკვე ფინალად მიიჩნევს...

— ვნახოთ, რა მოხდება. ყოველ შემთხვევაში, ულიმღამო ბურთაობას იქ მაყურებელი ვერ იხილავს.

— ხელსაყრელი წინადადება რომ შემოგთავაზონ, ესპანეთის პრიმერადივიზიონში თუ ითამაშებდით?

— დიახ, რატომაც არა. თქვენი პრიმერა ძალიან მომწონს.

— თქვენი ნათქვამიც გავიხსენოთ: „ნახეთ, ეს მასხარა მადრიდის „რეალი“ 5:0 თუ არ დავამარცხოთ!“ მაშინ თქვენმა ფრაზამ მსოფლიოს პრესაში ბომბის აფეთქების ტოლფასი გამოძახილი ჰპოვა...



— დიახ, დიდი სკანდალი იყო. საქმე ისაა, რომ გასახდელში მე და როი მაკაი წინასამატჩო პროგნოზებს ვაკეთებდით. იქ შემთხვევით მყოფმა ჟურნალისტმა კი ეს ამბავი მთელს მსოფლიოს მოჰფინა. მადრიდის „რეალის“ შეურაცხყოფა არც ადრე მსურდა და არც დღეს მინდა — ამ კლუბს უდიდეს პატივს ვცემ.

— მაგრამ „ბერნაბეუზე“ ოდინდელ თამამ პროგნოზთა გამო იქაურ ინჩასობასთან ურთიერთობის აწყობა გაგიჭირდებათ...

— ალბათ მართალს ამბობთ, თუმც ვეცდები, იქ ზომიერების გრძნობა არ დავკარგო. ვწუხვარ ამ გაუგებრობისთვის და კიდევ გავიმეორებ, რომ მსოფლიოში არც ერთი კლუბის ღირსების შელახვას არ ვეშურები...

# ამხანაგური მატჩი. დღეს

## ირლანდია — ბრაზილია

# კერი ჩუმად ხმაურობს

## პარეირას ევროპის ბრაზილია დარჩა

**მომავალი** მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპისთვის მზადებას ირლანდიის ნაკრები ხმაურით — მსოფლიოს ჩემპიონ ბრაზილიასთან ამხანაგური მატჩით იწყებს. თუმცა ისიცაა, რომ ირლანდიელთა მენეჯერმა ბრაიან კერმა გულშემატკივრებს ურჩია, ამ ამხანაგური თამაშიდან ძალიან ბევრს ნუ ელით და დასკვნებსაც ნაადრევად ნუ გამოიტანთო. როგორც ჩანს, კერი გულშემატკივრებს გამარჯვებისთვის არ ამზადებს.

„ბრაზილიასთან თამაში, რა თქმა უნდა, ჩვეულებრივი ამხანაგური თამაში არ არის, მაგრამ ეს მაინც მოსამზადებელი ეტაპის მატჩია და მთავარი სქემების და ფეხბურთელების გამოცდაა“ — თქვა კერმა.

ბრაზილიელები, ფაქტობრივად, უძლიერესი შემადგენლობით ჩადიან დუბლინში. რონალდო, რონალდინიო, რობერტო კარლოსი — ყველანი ითამაშებენ. თუმცა უძლიერეს ბრაზილიურ კლუბებს ამ კვირაში ლიბერტადორესის თასზე აქვთ თამაშები და მათი ფეხბურთელები ნაკრებში არ იქნებიან. მეორე მხრივ კი, „კრუზეიროს“ და „სანტოსის“ ფეხბურთელების არყოფნა კარლოს ალბერტო პარეირას აიძულებს, ევროპაში მოთამაშე საუკეთესო ფეხბურთელები დაიხმაროს.



რონალდოს დუბლინში საპატიო დახვედრა მოუწყვეს

ბრაზილიას არ ჰყავს რივალდო, არადა, რივალდო-რონალდოს წყვილი როგორიც იყო, განმარტება არ სჭირდება. სავარაუდოა, რომ რივალდოობას რონალდინიო ან კაკა გასწევს.

მზის ქვეშ ადგილის მოსაპოვებლად ბრძოლა გამართება ადრიანოს და ლუიშ ფაბიანუს შორისაც. ისინი რონალდოს პოტენციური შემცვლელები არიან და სავარაუდოდ, მეორე ტაიმში ერთ-ერთ მათგანს გაუმართლებს.

ასევე ფიქრობენ, რომ სასტარტო შემადგენლობის მეკარეობას პარეირა დიდას ანდობს, მარკოსს კი სკამზე დასვამს.

**კოტე კეკელია**

## ფეხბურთის რუკასთან



**ინგლისური** „ბლექბერნის“ ვეტერან იტალიელ მცველ ლორენცო ამორუზოს, რომელმაც კარიერის საუკეთესო წლები „გლაზგო რეინჯერსში“ გაატარა, შოტლანდიის მოქალაქეობის მიღება გადაუწყვეტია. „ჩემთვის უდიდესი პატივი იქნება შოტლანდიის ნაკრებში თამაში. ყველამ იცის, გლაზგოსა და მთლიანად ქვეყნისადმი ჩემი თბილი დამოკიდებულება, კარიერის საუკეთესო წლები სწორედ იქ გავატარე და ვფიქრობ, რომ ნახევრად შოტლანდიელი ვარ. ასე რომ, თუ ბერტი ფოგთსისგან წინადადებას მივიღებ, სიამოვნებით დავთანხმდები“ — თქვა ამორუზომ.

**იტალიური** „მილანი“ ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის ფედერაციის მიერ გამოქვეყნებულ სიაში კვლავ მსოფლიოს საუკეთესო კლუბია. „შავ-წითლებს“ 311 ქულა აქვთ და მხოლოდ 2 ქულით უსწრებენ მადრიდის „რეალს“. სარეიტინგო ცხრილის პირველი ხუთეული კი ასე გამოიყურება: „მილანი“ — 311; „რეალი“ — 309; „სანტოსი“ — 284; „ბოკა ხუნიორსი“ — 270; „პორტუ“ — 264.

**გერმანული** ფეხბურთის ლეგენდა და მიუნხენის „ბაიერნის“ პრეზიდენტი ფრანც ბეკენბაუერი თვლის, რომ ამ სეზონში მისი კლუბი ველარ გახდება ბუნდესლიგის ჩემპიონი. „ძალიან სამწუხაროა, რომ ამის თქმა მიწევს, მაგრამ წლეულს ალბათ ჩემპიონები ვერ გავხდებით. ბრემენელებსა და ჩვენს შორის სხვაობა 6 ქულა რომ იყოს, ვიტყოდი, შანსი გვაქვს-მეთქი, თანაც მათთან საშინაო მატჩი გველის, მაგრამ 9 ქულა ძალიან დიდი სხვაობაა. ახლავე მინდა, „ვერდერს“ ჩემპიონობა მივულოცო, ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, მეორე ადგილისათვის ვიბრძოლოთ, ჩემპიონთა ლიგის გარეთ დარჩენა დაუშვებელია“ — განაცხადა ბეკენბაუერმა.

**ჩეხეთში** მწვრთნელები და ფეხბურთელები გამოკითხეს, რის შემდეგაც დაადგინეს, რომ შარშანდელი წლის ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელი, რა თქმა უნდა, „ოქროს ბურთის“ მფლობელი პაველ ნედველი ყოფილა. ხოლო 2003 წლის საუკეთესო მწვრთნელის წოდება ჩეხეთის ნაკრების თავკაც კარელ ბრიუკნერს ერგო. აქვე გეტყვით, რომ ნედველი სამშობლოში საუკეთესოდ 1998 და 2000 წლებშიც დასახელდა.

**იტალიური** „კიევოს“ კაპიტანმა მაურიციო დანჯელომ გადაწყვიტა მოთამაშის კარიერა დაასრულოს. 34 წლის მცველი დიდი ხანია, „მფრინავი ვირების“ ღირსებას იცავს და კლუბის დატოვებას არც ახლა აპირებს. დანჯელო, რომელმაც 18 წლისამ დაიწყო მეოთხედივიზიონელ „კიევოში“ თამაში, ახლა ვერონელთა ერთ-ერთი მწვრთნელი იქნება.

**გერმანელი** მეკარე იენს ლემანი 10 ათასი გირვანქით დააჯარიმეს. მისი „არსენალი“ 29 დეკემბერს „საუთჰემპტონს“ შეხვდა და „წმინდანების“ ფორვარდმა კევინ ფილიპსმა მას ხელზე ფეხი დაადგა, გერმანელმა ვერ მოითმინა, პასუხად მეტოქეს ბურთი სახეში ესროლა. სპეციალურმა კომისიამ ეს ეპიზოდი გაარჩია და დამნაშავედ ლემანთან ერთად ფილიპსიც მიიჩნია, თუმცა, როგორი იქნება ამ უკანასკნელის სასჯელი, ჯერჯერობით უცნობია.

**იტალიელი** ვეტერანი ჯანფრანკო ძოლა, რომელიც ამჟამად სერია B-ს „კალიარიში“ თამაშობს, შესაძლოა, სულ მალე ლონდონის „ჩელსიში“ დაბრუნდეს. „რომან აბრამოვიჩს არაერთხელ ველაპარაკე და მითხრა, რომ ძალიან სურს კლუბში დავბრუნდე. შესაძლოა დავთანხმდე, მაგრამ სათადარიგოთა სკამზე ვერ ვიჯდები. დარწმუნებული უნდა ვიყო, რომ ძირითადში ვიქნები და ეს კლაუდიო რანიერიმაც კარგად იცის“ — განაცხადა ძოლამ.

**ინგლისური** „მანჩესტერ იუნაიტედი“ ზაფხულში თავისი ურუგვაელი ფორვარდის, დიეგო ფორლანის გაყიდვას აპირებს. გავრცელებული ინფორმაციით, ფორლანს ესპანური „ვალენსია“ ეპატიჟება. „მესტალიას“ ბინადრები მზად არიან მილიონი გირვანქა ახლავე გაიღონ, მაგრამ მანჩესტერელებს ეს თანხა ცხადია, ეცოტავებათ.

## იტალია

### სერია B. XXVII ტური

**სალერნიტანა 2:2 ტრიესტინა**

1:0 კორნელიუსონი (5), 2:0 ოლივი (24), 2:1, 2:2 ბაუ (62, 68)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატალანტა | 27 | 12 | 13 | 2 | 37:18 | 49 |
| ტერნანა | 27 | 13 | 8 | 6 | 39:26 | 47 |
| კალიარი | 27 | 12 | 8 | 7 | 46:31 | 44 |
| პალერმო | 27 | 11 | 11 | 5 | 37:24 | 44 |
| პიაჩენცა | 27 | 12 | 8 | 7 | 29:24 | 44 |
| მესინა | 27 | 10 | 12 | 5 | 35:27 | 42 |
| ლივორნო | 27 | 9 | 13 | 5 | 33:26 | 40 |
| სალერნიტანა | 27 | 10 | 8 | 9 | 26:26 | 38 |
| ტორინო | 27 | 9 | 10 | 8 | 37:31 | 37 |
| ტრიესტინა | 27 | 9 | 10 | 8 | 36:36 | 37 |
| კატანია | 27 | 9 | 9 | 9 | 33:28 | 36 |
| ტრევიზო | 27 | 8 | 11 | 8 | 28:28 | 35 |
| ასკოლი | 27 | 8 | 10 | 9 | 32:33 | 34 |
| ნაპოლი | 27 | 6 | 16 | 5 | 23:24 | 34 |
| ფიორენტინა | 27 | 7 | 13 | 7 | 30:34 | 34 |
| ვერონა | 27 | 7 | 11 | 9 | 33:35 | 32 |
| ალბინოლეფე | 27 | 8 | 8 | 11 | 23:35 | 32 |
| პესკარა | 27 | 7 | 10 | 10 | 21:31 | 31 |
| ვიჩენცა | 27 | 6 | 12 | 9 | 25:27 | 30 |
| ვენეცია | 27 | 6 | 11 | 10 | 23:30 | 29 |
| ბარი | 27 | 6 | 9 | 12 | 28:36 | 27 |
| კომო | 27 | 6 | 9 | 12 | 21:32 | 27 |
| ჯენოა | 27 | 5 | 12 | 10 | 23:35 | 27 |
| აველინო | 27 | 1 | 12 | 14 | 21:42 | 15 |

## პორტუგალია

### სუპერლიგა. XXII ტური

**გიმარაეში 0:1 ბელენენსეში**

0:1 უგო ენრიკე (74)

**რიუ ავე 1:2 ალვერკა**

1:0 ვან ესი (21), 1:1 რ. ლიმა (38), 1:2 ალექს აფონსო (41)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 22 | 17 | 5 | 0 | 48:14 | 56 |
| სპორტინგი | 22 | 16 | 3 | 3 | 43:22 | 51 |
| ბენფიკა | 22 | 14 | 5 | 3 | 43:20 | 47 |
| ბეირა მარი | 22 | 10 | 5 | 7 | 32:27 | 35 |
| ბრაგა | 22 | 10 | 5 | 7 | 22:26 | 35 |
| ნასიონალი | 22 | 10 | 4 | 8 | 37:23 | 34 |
| მარიტიმუ | 22 | 8 | 10 | 4 | 24:20 | 34 |
| ბოავიშტა | 22 | 9 | 7 | 6 | 21:17 | 34 |
| რიუ ავე | 22 | 7 | 8 | 7 | 25:21 | 29 |
| მორეირენსე | 22 | 7 | 6 | 9 | 18:25 | 27 |
| ჟილ ვისენტე | 22 | 6 | 8 | 8 | 30:27 | 26 |
| ლეირია | 22 | 6 | 5 | 11 | 25:35 | 23 |
| ბელენენსეში | 22 | 5 | 8 | 9 | 26:37 | 23 |
| ალვერკა | 22 | 6 | 4 | 12 | 23:30 | 22 |
| ფერეირა | 22 | 6 | 2 | 14 | 15:34 | 20 |
| აკადემიკა | 22 | 5 | 4 | 13 | 17:28 | 19 |
| გიმარაეში | 22 | 3 | 8 | 11 | 20:29 | 17 |
| ამადორა | 22 | 3 | 3 | 16 | 15:49 | 12 |

## თურქეთი

### სუპერლიგა. XXI ტური

**რიზე 1:0 ისთანბული**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბეშიქთაში | 21 | 15 | 5 | 1 | 48:21 | 50 |
| ფენერბაჰჩე | 21 | 13 | 6 | 2 | 47:25 | 45 |
| დენიზლი | 21 | 11 | 3 | 7 | 36:26 | 36 |
| გალათასარაი | 21 | 9 | 8 | 4 | 32:25 | 35 |
| გაზიანთეფი | 21 | 11 | 2 | 8 | 31:27 | 35 |
| ტრაბზონი | 21 | 10 | 5 | 6 | 29:27 | 35 |
| სამსუნი | 21 | 9 | 5 | 7 | 33:32 | 32 |
| მალათია | 21 | 8 | 7 | 6 | 31:23 | 31 |
| დიარბაქირი | 21 | 8 | 7 | 6 | 32:28 | 31 |
| გენჩლერი | 21 | 8 | 4 | 9 | 37:29 | 28 |
| კონია | 21 | 5 | 10 | 6 | 29:33 | 25 |
| რიზე | 21 | 7 | 3 | 11 | 20:33 | 24 |
| ანკარაგიუჯიუ | 21 | 6 | 5 | 10 | 29:36 | 23 |
| ისთანბული | 21 | 6 | 4 | 11 | 29:31 | 22 |
| სებათი | 21 | 5 | 7 | 9 | 25:32 | 22 |
| ბურსა | 21 | 3 | 8 | 10 | 17:26 | 17 |
| ელაზიგსფორი | 21 | 3 | 6 | 12 | 22:47 | 15 |
| ადანა | 21 | 3 | 3 | 15 | 18:44 | 12 |

## გერმანია

### II ბუნდესლიგა. XX ტური

**ნიურნბერგი 2:2 მაინცი**

1:0 კრჟინოვეკი (3), 1:1 გერბერი (30), 1:2 დვორაკი (54), 2:2 მინტალი (72)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ობერჰაუზენი | 20 | 11 | 5 | 4 | 35:21 | 38 |
| კოტბუსი | 20 | 10 | 5 | 5 | 33:26 | 35 |
| ნიურნბერგი | 20 | 9 | 6 | 5 | 35:25 | 33 |
| მაინცი | 20 | 8 | 8 | 4 | 32:25 | 32 |
| ალემანია | 20 | 9 | 4 | 7 | 32:32 | 31 |
| ლიუბეკი | 20 | 7 | 8 | 5 | 32:27 | 29 |
| უნტერჰახინგი | 20 | 8 | 5 | 7 | 30:29 | 29 |
| არმინია | 20 | 8 | 4 | 8 | 29:24 | 28 |
| კარლსრუე | 20 | 8 | 4 | 8 | 22:25 | 28 |
| ბურგჰაუზენი | 20 | 7 | 6 | 7 | 24:24 | 27 |
| დუისბურგი | 20 | 6 | 8 | 6 | 29:27 | 26 |
| ფიურტი | 20 | 5 | 8 | 7 | 33:33 | 23 |
| აუე | 20 | 5 | 8 | 7 | 21:25 | 23 |
| რეგენსბურგი | 20 | 5 | 8 | 7 | 25:31 | 23 |
| ტრირი | 20 | 6 | 5 | 9 | 24:33 | 23 |
| ალენი | 20 | 6 | 3 | 11 | 20:32 | 21 |
| უნიონი | 20 | 5 | 5 | 10 | 22:25 | 20 |
| ოსნაბრიუკი | 20 | 5 | 4 | 11 | 21:35 | 19 |

## ბელგია

### იუპილერლიგა. XXII ტური

**ლუვიე 0:0 ბეერსხოტი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 22 | 20 | 1 | 1 | 57:18 | 61 |
| სტანდარდი | 22 | 12 | 7 | 3 | 41:20 | 43 |
| ბრიუგე | 22 | 12 | 4 | 6 | 46:23 | 40 |
| მუსკრონი | 22 | 10 | 9 | 3 | 44:28 | 39 |
| ვესტერლო | 22 | 10 | 7 | 5 | 30:25 | 37 |
| გენკი | 22 | 10 | 6 | 6 | 42:30 | 36 |
| სენტ ტრუიდენი | 22 | 8 | 7 | 7 | 26:31 | 31 |
| ბეერსხოტი | 22 | 7 | 8 | 7 | 20:24 | 29 |
| გენტი | 22 | 6 | 9 | 7 | 22:22 | 27 |
| ლუვიე | 22 | 5 | 11 | 6 | 27:30 | 26 |
| ბევერენი | 22 | 8 | 2 | 12 | 29:37 | 26 |
| სერკლი | 22 | 5 | 9 | 8 | 20:34 | 24 |
| ლიერსი | 22 | 4 | 11 | 7 | 22:27 | 23 |
| მონსი | 22 | 4 | 9 | 9 | 22:31 | 21 |
| ლოკერენი | 22 | 4 | 7 | 11 | 23:35 | 19 |
| ჰეუსდენი | 22 | 4 | 6 | 12 | 21:37 | 18 |
| შარლერუა | 22 | 3 | 7 | 12 | 19:31 | 16 |
| ანტვერპენი | 22 | 4 | 4 | 14 | 17:45 | 16 |

## ჩეხეთი

### გამბრინუს ლიგა. XVII ტური

**სიგმა 0:0 იაბლონეცი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბანიკი | 17 | 11 | 6 | 0 | 35:12 | 39 |
| სპარტა | 17 | 9 | 5 | 3 | 31:15 | 32 |
| სლავია | 17 | 9 | 3 | 5 | 21:10 | 30 |
| სიგმა | 17 | 8 | 4 | 5 | 29:16 | 28 |
| ზლინი | 17 | 8 | 3 | 6 | 19:18 | 27 |
| ლიბერეცი | 17 | 7 | 5 | 5 | 18:14 | 26 |
| სინოტი | 17 | 7 | 5 | 5 | 24:21 | 26 |
| ბუდეიოვიცე | 17 | 7 | 4 | 6 | 21:20 | 25 |
| ბრნო | 17 | 5 | 7 | 5 | 19:22 | 22 |
| პრჟიბრამი | 17 | 6 | 3 | 8 | 22:20 | 21 |
| ტეპლიცე | 17 | 5 | 6 | 6 | 17:19 | 21 |
| ოპავა | 17 | 6 | 2 | 9 | 22:33 | 20 |
| იაბლონეცი | 17 | 3 | 9 | 5 | 14:22 | 18 |
| პლზენი | 17 | 3 | 5 | 9 | 13:27 | 14 |
| ჟიჟკოვი | 17 | 3 | 4 | 10 | 8:22 | 13 |
| ბლშანი | 17 | 2 | 3 | 12 | 16:38 | 9 |

## მალტის ტურნირი 2004

### მეორე ტური

**მალტა 5:2 ესტონეთი**

1:0 ბარბარა (12), 1:1 ზაჰოვაიკო (16), 2:1 ბ. საიდი (28), 2:2 პიიროია (45), 3:2 ბარბარა (59), 4:2 ტურნერი (60), 5:2 ზაჰრა (87)

**ბელარუსი 1:0 მოლდოვა**

1:0 კირენკინი (39)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მალტა | 2 | 1 | 1 | 0 | 5:2 | 4 |
| ესტონეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:6 | 3 |
| ბელარუსი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| მოლდოვა | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80





ხავიერ ჩევანტონიმ ქება-დიდება დაიმსახურა, ალბერტო ძაკერონის კი ტაქტიკა დაუწუნეს

# პროვინციისთვის დიდნი და დიდთათვის პროვინციელნი

*გთავაზობთ „სარბიელის“ მკითხველთათვის ნაცნობი იტალიელი ჟურნალისტის, დომინიკ ანტონიონის მოსაზრებებს სერია A-ს 21-ე ტურის გმირებსა და ანტიგმირებზე*

***ენცო მარესკა** (იუვენტუსი)* — ახალგაზრდა იტალიელმა გასულ კვირას „ინტერთან“ თასზე და „რეჯინასთან“ ჩემპიონატის შეხვედრაში ძალიან გამოიჩინა თავი. „რეჯინას“ გოლიც გაუტანა და დაამტკიცა, რომ სრულყოფილი ფეხბურთელია დიდებული ტექნიკით და თავდადების უნარით. სამწუხაროა, „ბებერი ქალბატონის“ შემადგენლობაში ასე იშვიათად რომ ათამაშებენ.

***მარტინ იორგენსენი** (უდინეზე)* — რატომ თამაშობს იორგენსენი ისეთ პროვინციულ გუნდში, როგორიც „უდინეზეა“, ცხოვრების დიდ საიდუმლოდ უნდა მივიჩნიოთ. ის ბრწყინვალე იყო „სან სიროზე“, სადაც უდინელებმა „ინტერს“ 2:1 მოუგეს და, სხვათა შორის, სწორედ „ინტერი“ გახლდათ ის გუნდი, რომელიც თავის დროზე მის ყიდვას აპირებდა. იორგენსენი კი, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ და მხოლოდ „უდინეზეშია“, დიდებული ფეხბურთელია.

***ხავიერ ჩევანტონი** (ლეჩე)* — ეს გახლავთ მარგალიტი, რომელიც ყველაზე დიდ შეცდომას იმ შემთხვევაში დაუშვებს, თუ რომელიმე დიდ გუნდში გადავა. წარმოიდგინეთ, თუ დი ვაიო „იუვენტუსში“ დიდ ხანს ატარებს სათადარიგოთა სკამზე, ჩევანტონს რაღა მოუვა? ის კლასიკური პროვინციის მეფეა, რომელიც კვირას, „მილანის“ წინააღმდეგ შეუცვლელი იყო. იგი „შავ-წითელთა“ დაცვას მთელი მატჩის განმავლობაში უქმნიდა პრობლემებს, ხოლო ჯარიმით ბრწყინვალე გოლიც გაიტანა.

***ალვარო რეკობა** (ინტერი)* — ურუგვაელის გაბრწყინება, რომელზეც ბევრი ითქვა, როგორც ჩანს, დასრულდა. „უდინეზეს“ წინაალმდეგ მან მხოლოდ 45 წუთი ითამაშა, რადგან, როგორც „ინტერის“ მწვრთნელმა, ალბერტო ძაკერონიმ თქვა, სწორ პოზიციას ვერ არჩევდა. საინტერესოა, რომ რეკობა 1997 წლის მერე ცდილობს სწორი პოზიციის შერჩევას და კარგად თამაშს, მაგრამ ვერ მოუხერხებია...

***ალბერტო ძაკერონი** (ინტერი)* — ჩვენს ჩამონათვალში მწვრთნელები, როგორც წესი, არ შეგვყავს, მაგრამ ამ ჯერზე გვერდი ვერ ავუარეთ. ვფიქრობთ, დროა ძაკერონიმ გაიგოს, რომ ნებისმიერი პრობლემიდან გამოსავალი 3-4-3-ის თამაში არ არის. განა თომას ჰელვეგის დაცვის ცენტრში თამაშს რაიმე აზრი აქვს? თუ გავითვალისწინებთ, რომ წინა ხუთშაბათს გუნდმა თასზე დამატებითი დროც ითამაშა, იქნებ სწორი ვარიანტი 4-4-2 განლაგებით მოქმედება ყოფილიყო? ნიჭიერი „უდინეზეს“ წინაალმდეგ ასე უფრო უსაფრთხოდ იგრძნობდა თავს.

***პაოლო მალდინი** (მილანი)* — მალდინიმ ჩვენი ყურადღება „ლეჩესთან“ შეხვედრაში ყვითელი ბარათის მიღების შემდეგ ალიაქოთით მიიპყრო. დიახ, ახლა ის „ინტერთან“ დერბის გამოტოვებს, მაგრამ ისე არ უნდა მოქცეულიყო, თითქოს „მილანის“ ბედი ამ ერთი თამაშის შედეგზე იყო დამოკიდებული. ასეთი ქაოსი მაშინ არ ამტყდარა, ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში იუვენტუსელი პაველ ნედვედი რომ გააძევეს და ფინალი გამოატოვებინეს.

**პაპუნა ბედია**

# არის პატრონი!

## ლიდსის კარს კარის ჯგუფი მიადგა

**ბოლტონელმა** ბიზნესმენმა იან კარიმ გამოაცხადა, რომ მისი კონსორციუმი კვირის ბოლომდე მოახერხებს „ლიდს იუნაიტედის“ დაპატრონებას და ტანჯული კლუბის ყველა ვალზე პასუხისმგებლობის აღებას.

კარისთან ერთად არიან „ლიდსის“ ყოფილი ვარსკვლავი ტრევორ ჩერი და „ჰადერსფილდის“ ყოფილი თავმჯდომარე ტერი ფიშერი.

„უსაქმურები არა ვართ, გვინდა, რომ „ლიდსი“ გადარჩეს“ — თქვა კარიმ — ჩვენს ჯგუფში ლიდსელი ბიზნესმენებიც შედიან და ნიშნულად კვირის ბოლო გვაქვს“.

ამ კონსორციუმმა ბოლო ხანს „ზეუს კაპიტალთან“ ერთად იმუშავა, რათა „ლიდსის“ გადარჩენის პროექტი შეედგინა. კარის ჯგუფის წევრთა უმრავლესობა „ლიდსის“ გულშემატკივარი და მდიდარი ადამიანია.



ტრევორ ბირჩმა „ლიდსს“ პატრონი უშოვა

კარიმ დაურთო, რომ ჯგუფი 25-30 მილიონი გირვანქის მოგროვებას ვარაუდობს, რათა თავიდან გასწვდეს კრედიტორებს და სამომავლო თანხაც გადაინახოს. ამ საქმეში ჩართული ხალხი წარმატებული ხალხია და ღამეებს ათენებს, რათა კლუბი გადარჩეს“.

„ლიდსის“ პასუხისმგებელმა შეფმა, ტრევორ ბირჩმა ბოლო ორთვენახევარი სწორედ მყიდველის ძებნაში გაატარა — 100-მილიონიანი ვალის მქონე კლუბის ყიდვა ბევრმა არავინ ისურვა. სხვა ფინანსურ ჯგუფთან ლაპარაკი სამომავლოდ გადაიდო, მიჩუმდა ბაჰრეინელი შეიხი აბდურაჰმანიც, უგანდელი მილიარდერის მაიკი ეზრას შეთავაზებაც დაუბოლოებელი გამოდგა. ამიტომ, კარისა და მისი ამხანაგების გადაწყვეტილება ყველაზე ნაღდი ჩანს და „ლიდსიც“ გადარჩება, თუმცა, როდის წამოდგება ფეხზე, ძნელი სათქმელია.

**ირაკლი გამყრელიძე**

# დელ ნერის პატივი მიაგეს



„კიევოს“ მწვრთნელი ჯიჯი დელ ნერი კმაყოფილი და ამაყია პრესამ მისი სახელი „ლაციოს“ და „ინტერის“ მომავალს რომ დაუკავშირა.

„კაცის სახელს, ასეთ დიდ კლუბებს რომ დაუკავშირებენ პატივია — თქვა დელ ნერიმ „რადიო სპაციო აპერტოსთვის“ მიცემულ ინტერვიუში — ახლა როგორც ადამიანი და როგორც მწვრთნელი თავს ღირსეულად მივიჩნევ. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემს ნალვაწს შედეგი აქვს“.

ვერონის პაწაწინა კლუბის სასწაული სწორედ დელ ნერის დამსახურებაა. მისი შრომის შედეგია ის, რომ „კიევო“ ისტორიაში პირველად მოხვდა სერია A-ში და იქ ადგილის შესანარჩუნებლად კი არ იფაფხურა, უეფას თასზე გამსვლელი ადგილი მოიპოვა.

ხოლო ჭორები ალბათ იმიტომ იყრება, რომ დელ ნერი „კიევოსთან“ ყოველთვის ერთწლიან კონტრაქტს აწერს ხელს.

**პაპუნა ბედია**

# სასიხარულო ყოყმანი

## ბაჯოს უნდა და არც უნდა

**რობერტო ბაჯომ** განაცხადა, რომ თამაშისადმი დაუოკებელ ლტოლვას განიცდის და ამან შესაძლოა, ფეხბურთიდან წასვლა გადაადებინოს. შეგახსენებთ, რომ 36 წლის ვარსკვლავმა საშობაოდ თქვა, სეზონის ბოლოს ალბათ, „ბუცებს ჩამოვკიდებო“.

„ბედნიერი ვარ, როდესაც ვგრძნობ, რომ ისევ მაღიარებენ — უთხრა ბაჯომ ბრეშას ტელევიზიას — ერთი სიტყვით, თან ვფიქრობ, რომ უნდა დავანებო თავი, თან კი თამაში მინდა და ეს ძალიან მირთულებს საქმეს“.

შემდეგ ბაჯომ განმარტა, თუ რატომ ფიქრობს წასვლაზე:

„სამწუხაროდ, მუდმივად ტკივილთან ბრძოლა მიწევს. „მილანთან“ შეხვედრაში ტრავმა მივიღე და მას მერე მოსვენებით აღარ ვყოფილვარ“.

აღსანიშნავია, რომ ბაჯოს ამ განცხადებამ „ბრეშას“, თუმცა, რა „ბრეშას“, ფეხბურთის გულშემატკივრები ფრიად გაახარა. ამ სეზონში მან მხოლოდ 14 თამაშში შეძლო მონაწილეობის მიღება და 5 გოლის მეტი არ გაუტანია, მაგრამ საგოლე პასები კი იცოცხლე, ბლომად არიგა.

**პაპუნა ბედია**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკი წარმოგიდგენთ

### ინგლისი. პრემიერლიგა. XXVI ტური

**21 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.30 | 001 | ჩელსი-არსენალი | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |
| 16.30 | 002 | მანჩესტერი-ლიდსი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 003 | მანჩესტერი-ლიდსი 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |
| 19.00 | 004 | ბოლტონი-სიტი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 19.00 | 005 | ჩარლტონი-ბლეკბერნი | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| 19.00 | 007 | ნიუკასლი-მიდლსბრო | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 19.00 | 008 | საუთჰემპტონი-ევერტონი | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| 19.00 | 009 | ვულვერჰემპტონი-ფულემი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |

**22 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 010 | ასტონ ვილა-ბირმინგემი | 2.05 | 3,1 | 3,5 | 1,23 | 1,29 | 1,64 |
| 20.05 | 011 | ტოტენჰემი-ლესტერი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |

### ინგლისი. I დივიზიონი. XXXII ტური

**21 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 044 | ბრედფორდი-ქრიუ | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 19.00 | 045 | ბარნლი-იფსვიჩი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 19.00 | 046 | კარდიფი-სანდერლენდი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 19.00 | 047 | დერბი-კრისტალ პალასი | 2,8 | 3,2 | 2,35 | 1,49 | 1,27 | 1,35 |
| 19.00 | 048 | ჯილინგემი-რედინგი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 19.00 | 049 | ნორვიჩი-ვესტ ჰემი | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| 19.00 | 050 | პრესტონი-მილუოლი | 1,95 | 3,3 | 3,5 | 1,22 | 1,25 | 1,69 |
| 19.00 | 051 | როტერჰემი-ნოტინგემი | 2,0 | 3,3 | 3,4 | 1,24 | 1,25 | 1,67 |
| 19.00 | 052 | შეფილდი-ვესტ ბრომვიჩი | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |
| 19.00 | 053 | სტოკი-უიგანი | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |
| 19.00 | 054 | უოლსოლი-უოტფორდი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 19.00 | 055 | უიმბლდონი-ქოვენთრი | 3,0 | 3,3 | 2,15 | 1,57 | 1,25 | 1,3 |

### ინგლისი. II დივიზიონი. XXXII ტური

**20 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 061 | ჰარტლპული-ბლეკპული | 1,85 | 3,3 | 3,6 | 1,18 | 1,22 | 1,72 |
| 23.45 | 062 | ქუინზ პარკი-პიტერბრო | 1,35 | 4,0 | 8,0 | 1 | 1,15 | 2,66 |

**21 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 063 | ბარნსლი-უიკომბი | 1,5 | 3,5 | 6,5 | 1,04 | 1,21 | 2,27 |
| 19.00 | 064 | ბრაიტონი-ბორნმუთი | 1,8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1,22 | 1,76 |
| 19.00 | 065 | ბრისტოლი-რექსემი | 1,6 | 3,4 | 5,3 | 1,08 | 1,22 | 2,07 |
| 19.00 | 066 | კოლჩესტერი-გრიმსბი | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| 19.00 | 067 | ლუტონი-ბრენტფორდი | 1,55 | 3,5 | 5,6 | 1,07 | 1,21 | 2,15 |
| 19.00 | 068 | ნოტსი-სტოკპორტი | 2,25 | 3,2 | 2,9 | 1,32 | 1,26 | 1,52 |
| 19.00 | 069 | ოლდემი-ტრანმერი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 19.00 | 070 | პლიმუთი-პორტ ვეილი | 1,6 | 3,5 | 5,0 | 1,09 | 1,21 | 2,05 |
| 19.00 | 071 | რაშდენი-უენსდი | 2,15 | 3,2 | 3,1 | 1,28 | 1,26 | 1,57 |
| 19.00 | 072 | სუინდონი-ჩესტერფილდი | 1,6 | 3,5 | 5,0 | 1,09 | 1,21 | 2,05 |

### ინგლისი. III დივიზიონი. XXVIII ტური

**18 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 077 | ბოსტონი-სუონსი | 2,35 | 3,2 | 2,7 | 1,35 | 1,25 | 1,46 |

### ინგლისი. III დივიზიონი. XXXII ტური

**21 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 082 | ბოსტონი-იორკი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 19.00 | 083 | კემბრიჯი-როვერსი | 2,3 | 3,3 | 2,7 | 1,35 | 1,24 | 1,48 |
| 19.00 | 084 | დარლინგტონი-იოვილი | 2,45 | 3,2 | 2,5 | 1,38 | 1,23 | 1,4 |
| 19.00 | 085 | ჰადერსფილდი-ლინკოლნი | 1,85 | 3,3 | 3,6 | 1,18 | 1,22 | 1,72 |
| 19.00 | 086 | ჰალი-ტორკი | 1,6 | 3,5 | 5,0 | 1,09 | 1,21 | 2,05 |
| 19.00 | 087 | კიდერმინსტერი-სუონსი | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| 19.00 | 088 | ლეიტონი-საუთენდი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 19.00 | 089 | მაკლსფილდი-კარლაილი | 2,1 | 3,2 | 3,0 | 1,26 | 1,23 | 1,54 |
| 19.00 | 090 | მენსფილდი-დონკასტერი | 2,2 | 3,2 | 2,0 | 1,3 | 1,04 | 1,23 |
| 19.00 | 091 | ოქსფორდი-ბერი | 1,35 | 3,8 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,52 |
| 19.00 | 092 | როჩდეილი-ჩელტენემი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 19.00 | 093 | სკანთორპი-ნორთჰემპტონი | 2,35 | 3,2 | 2,7 | 1,35 | 1,25 | 1,46 |

### ინგლისი. კონფერენსი. XXXII ტური

**21 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 100 | აკრინგტონი-ნორთვიჩი | 1,3 | 4,2 | 7,5 | 1 | 1,1 | 2,69 |
| 19.00 | 101 | ალდერშოტი-ლეი | 1,3 | 4,2 | 7,5 | 1 | 1,1 | 2,69 |
| 19.00 | 102 | ჩესტერი-დაგ ენდ რედი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 19.00 | 103 | ექსეტერი-ბარტონი | 1,85 | 3,3 | 3,5 | 1,18 | 1,21 | 1,69 |
| 19.00 | 104 | ფორესტ გრინი-გრეივსენდი | 2,25 | 3,2 | 2,8 | 1,32 | 1,24 | 1,49 |
| 19.00 | 105 | ჰერეფორდი-უოკინგი | 1,6 | 3,5 | 4,8 | 1,09 | 1,2 | 2,02 |
| 19.00 | 106 | მარგეიტი-ტელფორდი | 2,4 | 3,2 | 2,5 | 1,37 | 1,22 | 1,4 |
| 19.00 | 107 | მორიკომბი-ბარნეტი | 2,15 | 3,2 | 3,0 | 1,28 | 1,25 | 1,54 |
| 19.00 | 108 | შრიუსბერი-სკარბორო | 1,6 | 3,5 | 4,8 | 1,09 | 1,2 | 2,02 |
| 19.00 | 109 | სტივენეიჯი-ჰალიფაქსი | 1,7 | 3,4 | 4,2 | 1,13 | 1,21 | 1,87 |
| 19.00 | 110 | ტემუორთი-ფარნბორო | 1,8 | 3,3 | 3,6 | 1,16 | 1,19 | 1,72 |

### შოტლანდია. პრემიერლიგა. XXV ტური

**21 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 114 | აბერდინი-დანფერმლაინი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 19.00 | 115 | დანდი-ლივინგსტონი | 2,2 | 3,3 | 3,0 | 1,32 | 1,26 | 1,57 |
| 19.00 | 116 | ჰართსი-დანდი იუნაიტედი | 1,6 | 3,6 | 5,0 | 1,1 | 1,21 | 2,09 |
| 19.00 | 117 | მოზერუელი-კილმარნოკი | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| 19.00 | 118 | რეინჯერსი-ჰიბერნიანი | 1,22 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,08 | 3,33 |
| | 119 | რეინჯერსი-ჰიბერნიანი 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |

**22 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 120 | პარტიკი-სელტიკი | 14,0 | 6,0 | 1,12 | 4,19 | 1,03 | 1 |

### შოტლანდია. I დივიზიონი. XXV ტური

**21 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 122 | ეარი-სტ.მირენი | 2,5 | 3,3 | 2,4 | 1,42 | 1,22 | 1,38 |
| 19.00 | 123 | ფოლკირკი-ბრეჩინი | 1,65 | 3,6 | 4,4 | 1,13 | 1,2 | 1,98 |
| 19.00 | 124 | ქუინი-ინვერნესი | 2,6 | 3,4 | 2,3 | 1,47 | 1,22 | 1,37 |
| 19.00 | 125 | რეითი-კლაიდი | 4,0 | 3,6 | 1,7 | 1,89 | 1,19 | 1,15 |
| 19.00 | 126 | როსი-სტ.ჯონსტონი | 2,5 | 3,3 | 2,4 | 1,42 | 1,22 | 1,38 |

### შოტლანდია. II დივიზიონი. XXIV ტური

**21 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 129 | ერდრი-სტენჰაუზმური | 1,65 | 3,5 | 4,4 | 1,12 | 1,2 | 1,94 |
| 19.00 | 130 | ალოა-მორტონი | 2,6 | 3,5 | 2,2 | 1,49 | 1,19 | 1,35 |
| 19.00 | 131 | არბროთი-ისტ ფაიფი | 2,3 | 3,4 | 2,5 | 1,37 | 1,19 | 1,44 |
| 19.00 | 132 | ბერიკი-ფორფარი | 2,3 | 3,4 | 2,5 | 1,37 | 1,19 | 1,44 |
| 19.00 | 133 | დამბარტონი-ჰამილტონი | 2,6 | 3,5 | 2,2 | 1,49 | 1,19 | 1,35 |

### შოტლანდია. III დივიზიონი. XXIV ტური

**21 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 137 | ისტ სტირლინგი-გრეტნა | 8,0 | 5,0 | 1,2 | 3,07 | 1,04 | 1 |
| 19.00 | 138 | ელგინი-ალბიონი | 3,0 | 3,5 | 2,0 | 1,61 | 1,2 | 1,27 |
| 19.00 | 139 | მონტროუზი-სტირლინგი | 3,8 | 3,6 | 1,7 | 1,84 | 1,17 | 1,15 |
| 19.00 | 140 | პიტერჰედი-კოუდენბითი | 1,7 | 3,5 | 4,0 | 1,14 | 1,19 | 1,86 |
| 19.00 | 141 | სტრანრარი-ქუინზ პარკი | 1,4 | 4,2 | 6,0 | 1,04 | 1,13 | 2,47 |

### გერმანია. ბუნდესლიგა. XXI ტური

**21 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 012 | შალკე-ვერდერი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 18.30 | 013 | ვოლფსბურგი-მიუნხენი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 18.30 | 014 | მიონხენგლადბახი-ფრაიბურგი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 18.30 | 015 | ლევერკუზენი-ბოხუმი | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| 18.30 | 016 | კაიზერსლაუტერნი-შტუტგარტი | 2,6 | 3,2 | 2,45 | 1,43 | 1,26 | 1,38 |
| 18.30 | 017 | ბაიერნი-ჰამბურგი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 018 | ბაიერნი-ჰამბურგი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| 18.30 | 019 | ჰანზა-ჰანოვერი | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |

**22 თებერვალი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 020 | დორტმუნდი-კიოლნი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| 20.30 | 021 | ჰერტა-აინტრახტი | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |

**გერმანია. II ბუნდესლიგა. XXI ტური**

**20 თებერვალი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 144 | კოტბუსი-ნიურნბერგი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 22.00 | 145 | მაინცი-ოსნაბრიუკი | 1,4 | 3,8 | 7,5 | 1,02 | 1,17 | 2,52 |
| 22.00 | 146 | დუისბურგი-ტრირი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |

**22 თებერვალი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 147 | ლიუბეკი-რეგენსბურგი | 2,0 | 3,0 | 3,6 | 1,2 | 1,28 | 1,63 |
| 18.00 | 148 | ფიურტი-უნიონი | 1,75 | 3,3 | 4,2 | 1,14 | 1,23 | 1,84 |
| 18.00 | 149 | ბურგჰაუზენი-ობერჰაუზენი | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| 18.00 | 150 | კარლსრუე-ალენი | 1,75 | 3,3 | 4,2 | 1,14 | 1,23 | 1,84 |
| 18.00 | 151 | აუე-ალემანია | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |

**23 თებერვალი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.15 | 152 | არმინია-უნტერჰახინგი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |

**გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). XVIII ტური**

**21 თებერვალი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 156 | შალკე(მ)-მიუნსტერი | 2,05 | 3,3 | 3,1 | 1,26 | 1,23 | 1,59 |

**გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XIX ტური**

**20 თებერვალი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 158 | ბაიერნი(მ)-შვაინფურტი | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |

**21 თებერვალი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 159 | კიკერსი-ვეენი | 2,3 | 3,2 | 2,7 | 1,33 | 1,24 | 1,46 |

**ჰოლანდია. II დივიზიონი. XXIV ტური**

**19 თებერვალი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 276 | მაასტრიხტი-ოსი | 2,6 | 3,3 | 2,3 | 1,45 | 1,22 | 1,35 |
| 23.00 | 277 | დენ ბოსხი-სიტარდი | 1,25 | 4,6 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,04 |

**ინგლისი. თასი. V ეტაპი**

**22 თებერვალი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 481 | პორტსმუთი-ლივერპული | 3,1 | 3,2 | 2,15 | 1,57 | 1,26 | 1,28 |

**ფინეთი. ლიგის თასი**

**20 თებერვალი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 425 | ტურკუ-ჰაკა | 3,4 | 3,2 | 1,95 | 1,64 | 1,23 | 1,21 |
| 20.50 | 426 | ჰიკ-იოკერიტი | 1,3 | 4,2 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,75 |
| 22.40 | 427 | მიუპა-ალიანსი | 2,0 | 3,2 | 3,3 | 1,23 | 1,24 | 1,62 |

**ლიბერტადორესის თასი**

**18 თებერვალი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 02.30 | 435 | ბოლივარი-ბოკა ხუნიორსი | 2,9 | 3,2 | 2,2 | 1,52 | 1,25 | 1,3 |
| 04.45 | 436 | სანტოსი(ბრ)-გუარანი | 1,25 | 4,6 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,04 |

**19 თებერვალი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 03.15 | 437 | სტრონგესტი-ამერიკა | 2,25 | 3,2 | 2,8 | 1,32 | 1,24 | 1,49 |
| 06.30 | 438 | ონსე კალდასი-ფენიქსი | 1,55 | 3,5 | 5,3 | 1,07 | 1,19 | 2,1 |

**ამხანაგური მატჩები**

**18 თებერვალი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 441 | კვიპროსი-ბელარუსი | 2,25 | 3,2 | 2,8 | 1,32 | 1,24 | 1,49 |
| 17.00 | 442 | უნგრეთი-სომხეთი (კვიპროსში) | 1,65 | 3,4 | 4,6 | 1,11 | 1,21 | 1,95 |
| 17.00 | 443 | ლატვია-ყაზახეთი (კვიპროსში) | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 17.00 | 444 | რუმინეთი-საქართველო (კვიპროსში) | 1,55 | 3,5 | 5,3 | 1,07 | 1,19 | 2,1 |
| 18.00 | 445 | ესტონეთი-მოლდოვა (მალტაზე) | 2,15 | 3,2 | 3,0 | 1,28 | 1,25 | 1,54 |
| 19.00 | 446 | ისრაელი-აზერბაიჯანი | 1,2 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,33 |
| 19.00 | 447 | მაროკო-შვეიცარია | 2,3 | 3,1 | 2,8 | 1,32 | 1,26 | 1,47 |
| 21.00 | 448 | მაკედონია-ბოსნია | 2,4 | 3,1 | 2,6 | 1,35 | 1,24 | 1,41 |
| 22.00 | 449 | ლიბია-უკრაინა | 3,5 | 3,3 | 1,85 | 1,69 | 1,21 | 1,18 |
| 22.30 | 450 | თურქეთი-დანია | 2,1 | 3,2 | 3,1 | 1,26 | 1,25 | 1,57 |
| 22.45 | 451 | ალბანეთი-შვედეთი | 3,8 | 3,2 | 1,8 | 1,73 | 1,22 | 1,15 |
| 23.00 | 452 | საბერძნეთი-ბულგარეთი | 2,0 | 3,1 | 3,4 | 1,21 | 1,25 | 1,62 |
| 23.00 | 453 | პოლონეთი-სლოვენია (ესპანეთში) | 2,2 | 3,2 | 2,9 | 1,3 | 1,25 | 1,52 |
| 23.15 | 454 | ბელგია-საფრანგეთი | 3,6 | 3,2 | 1,85 | 1,69 | 1,22 | 1,17 |
| 23.30 | 455 | ჰოლანდია-აშშ | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| 23.30 | 456 | ირლანდია-ბრაზილია | 3,8 | 3,1 | 1,8 | 1,7 | 1,22 | 1,13 |
| 23.45 | 457 | ხორვატია-გერმანია | 2,5 | 3,0 | 2,5 | 1,36 | 1,25 | 1,36 |
| 23.45 | 458 | იტალია-ჩეხეთი | 1,8 | 3,0 | 4,2 | 1,12 | 1,26 | 1,75 |
| 23.45 | 459 | ჩრდ.ირლანდია-ნორვეგია | 3,5 | 3,2 | 1,9 | 1,67 | 1,23 | 1,19 |
| 23.45 | 460 | უელსი-შოტლანდია | 2,0 | 3,1 | 3,4 | 1,21 | 1,25 | 1,62 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 00.30 | 461 | ესპანეთი-პერუ | 1,3 | 4,2 | 9,0 | 1 | 1,13 | 2,86 |
| 01.15 | 462 | პორტუგალია-ინგლისი | 2,2 | 3,1 | 3,0 | 1,28 | 1,26 | 1,52 |
| 03.00 | 463 | ვენესუელა-ავსტრალია | 2,3 | 3,1 | 2,8 | 1,32 | 1,26 | 1,47 |
| 03.00 | 464 | იამაიკა-ურუგვაი | 3,4 | 3,2 | 1,95 | 1,64 | 1,23 | 1,21 |
| 07.00 | 465 | ჰონდურასი-კოლუმბია | 2,6 | 3,1 | 2,4 | 1,41 | 1,24 | 1,35 |
| 08.00 | 466 | მექსიკა-ჩილე | 1,9 | 3,2 | 3,5 | 1,19 | 1,23 | 1,67 |

**რაგბი. ექვსი ერის თასი**

**21 თებერვალი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 470 | საფრანგეთი-იტალია | 1,01 | 40,0 | 15,0 | 1 | 1 | 10,9 |
| 21.30 | 472 | შოტლანდია-ინგლისი | 7,5 | 20,0 | 1,05 | 5,45 | 1 | 1 |

**22 თებერვალი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 474 | ირლანდია-უელსი | 1,4 | 17,0 | 2,8 | 1,29 | 1 | 2,4 |

**ჰოკეი. რუსეთი**

**18 თებერვალი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15.30 | 1003 | ნოვოკუზნეცკი-ხიმიკი | 1,35 | 5,0 | 5,0 | 1,06 | 1,06 | 2,5 |
| 16.30 | 1004 | სიბირი-ავანგარდი | 3,0 | 4,8 | 1,7 | 1,84 | 1,08 | 1,25 |
| 17.30 | 1005 | ს.იულაევი-სევერსტალი | 1,7 | 4,8 | 3,0 | 1,25 | 1,08 | 1,84 |
| 17.30 | 1006 | მაგნიტოგორსკი-ცსკა | 1,5 | 5,0 | 3,8 | 1,15 | 1,07 | 2,15 |
| 18.30 | 1007 | ლადა-აკ | 1,3 | 5,6 | 5,3 | 1,05 | 1,04 | 2,72 |
| 20.00 | 1008 | დინამო-ამური | 1,25 | 6,0 | 6,0 | 1,03 | 1,03 | 3 |

**ჰოკეი. ფინეთი**

**18 თებერვალი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 1147 | იოკერიტი-იუვესკიულე | 1,4 | 4,8 | 4,8 | 1,08 | 1,08 | 2,4 |

**ჰოკეი. NHL**

**18 თებერვალი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 1170 | ბუფალო-ფლორიდა | 1,85 | 3,5 | 3,2 | 1,21 | 1,17 | 1,67 |
| 04.00 | 1171 | დეტროიტი-ფინიქსი | 1,55 | 3,8 | 4,4 | 1,1 | 1,14 | 2,03 |
| 04.00 | 1172 | აილენდერსი-პიტსბურგი | 1,35 | 4,0 | 5,0 | 1 | 1,06 | 2,22 |
| 05.00 | 1173 | ნეშვილი-სან ხოსე | 2,3 | 3,6 | 2,35 | 1,4 | 1,16 | 1,42 |
| 06.30 | 1174 | კოლორადო-ედმონტონი | 1,65 | 3,8 | 3,8 | 1,15 | 1,15 | 1,9 |
| 07.30 | 1175 | ანაჰაიმი-კოლამბუსი | 1,85 | 3,8 | 3,0 | 1,24 | 1,14 | 1,67 |
| 07.30 | 1176 | ლოს ანჯელესი-დალასი | 2,3 | 3,5 | 2,4 | 1,38 | 1,17 | 1,42 |

**კალათბურთი. ევროლიგა**

**18 თებერვალი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.40 | 1340 | ვილერბანი-ტაუ | 3,1 | 10,0 | 1,25 | 2,36 | 1 | 1,11 |
| 23.40 | 1341 | ვალენსია-ეფესი | 1,3 | 10,0 | 2,8 | 1,15 | 1 | 2,18 |
| 23.40 | 1342 | შლიონსკი-ბენეტონი | 2,1 | 10,0 | 1,55 | 1,73 | 1 | 1,34 |
| 23.40 | 1343 | ალბა-ოლიმპიაკოსი | 2,6 | 10,0 | 1,3 | 2,06 | 1 | 1,15 |

**19 თებერვალი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.40 | 1344 | ქალგირისი-ცსკა | 1,7 | 10,0 | 1,9 | 1,45 | 1 | 1,59 |
| 22.40 | 1345 | მაკაბი-სიენა | 1,15 | 10,0 | 4,0 | 1,03 | 1 | 2,85 |
| 22.40 | 1346 | სკიპერი-უნიკახა | 1,12 | 10,0 | 4,4 | 1 | 1 | 3,05 |
| 22.40 | 1347 | პანათინაიკოსი-კრკა | 1,01 | 10,0 | 7,0 | 1 | 1 | 4,11 |
| 23.40 | 1348 | ოლიმპია-ციბონა | 1,3 | 10,0 | 2,8 | 1,15 | 1 | 2,18 |
| 23.40 | 1351 | პარტიზანი-აეკ | 1,6 | 10,0 | 2,0 | 1,37 | 1 | 1,66 |

**კალათბურთი. NBA**

**18 თებერვალი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 1368 | კლივლენდი-დალასი | 2,0 | 10,0 | 1,6 | 1,66 | 1 | 1,37 |
| 04.00 | 1369 | ორლანდო-იუტა | 1,8 | 10,0 | 1,7 | 1,52 | 1 | 1,45 |
| 04.00 | 1370 | ტორონტო-სან ანტონიო | 2,1 | 10,0 | 1,55 | 1,73 | 1 | 1,34 |
| 04.30 | 1371 | დეტროიტი-მილუოკი | 1,3 | 10,0 | 2,8 | 1,15 | 1 | 2,18 |
| 04.30 | 1372 | ნიუ ჯერსი-ატლანტა | 1,12 | 10,0 | 4,4 | 1 | 1 | 3,05 |
| 05.00 | 1373 | ნიუ ორლეანი-ვაშინგტონი | 1,16 | 10,0 | 3,8 | 1,03 | 1 | 2,75 |
| 07.00 | 1374 | პორტლენდი-კლიპერსი | 1,25 | 10,0 | 3,1 | 1,11 | 1 | 2,36 |
| 07.30 | 1375 | გოლდენ სტეიტი-ლეიკერსი | 2,1 | 10,0 | 1,45 | 1,73 | 1 | 1,26 |

## ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 21.02 | 16.30 | 6001 | ინგლისი პლ (XXVI) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |
| 21.02 | 18.30 | 6002 | გერმანია ბლ (XXI) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |
| 21.02 | 21.00 | 6003 | იტალია A (XXII) | 23 და ნაკლები – 1,9; 25 და მეტი – 1,9 |
| 21.02 | 22.30 | 6004 | ესპანეთი Iდ (XXV) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |
| 20.02 | 23.00 | 6005 | საფრანგეთი Iდ (XXV) | 21 და ნაკლები – 1,9; 23 და მეტი – 1,9 |
| 20.02 | 01.30 | 6006 | პორტუგალია სლ (XXIII) | 22 და ნაკლები – 1,9; 24 და მეტი – 1,9 |
| 20.02 | 23.30 | 6004 | ბელგია Iდ (XXIII) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |

სპორტული ლატარია

CROCO
BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“) |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელავის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან“ |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ“ კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |


# ჩემპიონები და თასის აღება

**9001**
**ინგლისი (21.02)**

| | |
|---|---|
| მანჩესტერი | 1,4 |
| არსენალი | 3,0 |
| ჩელსი | 5,0 |

**9002**
**გერმანია (21.02)**

| | |
|---|---|
| ვერდერი | 1,5 |
| ბაიერნი | 2,1 |
| შტუტგარტი | 5,0 |
| ლევერკუზენი | 10,0 |

**9003**
**იტალია (21.02)**

| | |
|---|---|
| მილანი | 1,4 |
| რომა | 4.0 |
| იუვენტუსი | 5.0 |

**9004**
**ესპანეთი (21.02)**

| | |
|---|---|
| რეალი | 1,3 |
| ვალენსია | 3,8 |
| დეპორტივო | 7,5 |

**9005**
**საფრანგეთი (20.02)**

| | |
|---|---|
| მონაკო | 1,2 |
| ლიონი | 3,5 |
| პსჟ | 8,0 |

**9006**
**პორტუგალია (21.02)**

| | |
|---|---|
| პორტუ | 1,04 |
| სპორტინგი | 7,0 |
| ბენფიკა | 15,0 |

**9007**
**ჰოლანდია (21.02)**

| | |
|---|---|
| აიაქსი | 1,16 |
| პსვ | 3,8 |

**9008**
**ავსტრია (21.02)**

| | |
|---|---|
| ავსტრია | 1,35 |
| რაპიდი | 4,0 |
| გრაცერი | 5,0 |

**9009**
**დანია (14.03)**

| | |
|---|---|
| ბრიონდბიუ | 1,3 |
| ესბიერგი | 4,0 |
| კოპენჰაგენი | 5,0 |

**9010**
**საბერძნეთი (14.02)**

| | |
|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 1,6 |
| პანათინაიკოსი | 2,0 |
| პაოკ | 8,0 |

**9011**
**უკრაინა (15.02)**

| | |
|---|---|
| შახტარი | 1,55 |
| დინამო | 1,95 |

**9020**
**ჩემპიონთა თასი (24.02)**

## რომელი ქვეყნის გუნდი აიღებს თასს

| | |
|---|---|
| ინგლისი | 1,8 |
| იტალია | 2,5 |
| ესპანეთი | 2,9 |
| გერმანია | 9,3 |
| საფრანგეთი | 13,6 |

**9020**
**ჩემპიონთა თასი (24.02)**

| | |
|---|---|
| რეალი | 4,0 |
| მანჩესტერი | 4,6 |
| იუვენტუსი | 5,0 |
| მილანი | 5,0 |
| ჩელსი | 6,0 |
| არსენალი | 6,0 |
| ბაიერნი | 15,0 |
| დეპორტივო | 20,0 |
| შტუტგარტი | 25,0 |
| მონაკო | 25,0 |
| ლიონი | 30,0 |
| პორტუ | 40,0 |
| სოსიედადი | 40,0 |
| სელტა | 50,0 |
| ლოკომოტივი | 100,0 |
| სპარტა | 150,0 |

**9022**
**უეფას თასი (26.02)**

| | |
|---|---|
| რომა | 5,6 |
| ვალენსია | 6,0 |
| ბარსელონა | 6,0 |
| ინტერი | 6,0 |
| ლივერპული | 6,0 |
| ნიუკასლი | 8,0 |
| პარმა | 10,0 |
| სელტიკი | 12,0 |
| მარსელი | 15,0 |
| ბორდო | 25,0 |
| მალიორკა | 25,0 |
| პსვ | 25,0 |
| ოსერი | 25,0 |
| გალათასარაი | 30,0 |
| ბრიუგე | 30,0 |
| პერუჯა | 30,0 |
| ბენფიკა | 30,0 |
| ვილიარეალი | 30,0 |
| ბეშიქთაში | 30,0 |
| სოშო | 40,0 |
| პანათინაიკოსი | 40,0 |
| რუსენბორგი | 50,0 |
| სპარტაკი | 60,0 |
| გენჩლერბირლ. | 60,0 |
| ბრიონდბიუ | 60,0 |
| გაზიანთეფი | 100,0 |
| გროცლინი | 100,0 |
| ტეპლიცე | 100,0 |
| დნიპრო | 100,0 |
| ლევსკი | 150,0 |
| დებრეცენი | 250,0 |
| ვოლერენგა | 250,0 |

**9031**
**NHL (05.04)**

| | |
|---|---|
| კოლორადო | 4.5 |
| დეტროიტი | 5,0 |
| ფილადელფია | 5,5 |
| ვანკუვერი | 6,0 |
| ნიუ ჯერსი | 6,5 |
| ოტავა | 7,0 |
| ტორონტო | 7,5 |
| სტ.ლუისი | 10,0 |
| დალასი | 12,0 |
| ტამპა ბეი | 20,0 |
| ბოსტონი | 20,0 |
| ლოს ანჯელესი | 20.0 |
| სან ხოსე | 25,0 |
| რეინჯერსი | 25,0 |
| ატლანტა | 30,0 |
| კალგარი | 30,0 |
| ანაჰაიმი | 35,0 |
| მინესოტა | 35.0 |
| აილენდერსი | 40,0 |
| მონრეალი | 50,0 |
| ედმონტონი | 60,0 |
| ფინიქსი | 60,0 |
| კაროლინა | 75,0 |
| ჩიკაგო | 75,0 |
| ნეშვილი | 75,0 |
| ბუფალო | 100,0 |
| ფლორიდა | 100.0 |
| კოლამბუსი | 125.0 |
| პიტსბურგი | 125.0 |
| ვაშინგტონი | 125.0 |

**9032**
**NBA (15.04)**

| | |
|---|---|
| ლეიკერსი | 1,65 |
| საკრამენტო | 4,5 |
| სან ანტონიო | 5.0 |
| დალასი | 8,0 |
| ინდიანა | 10,0 |
| დეტროიტი | 12,0 |
| მინესოტა | 12.0 |
| ნიუ ჯერსი | 15,0 |
| ნიუ ორლეანი | 25.0 |
| ფილადელფია | 40.0 |
| ჰიუსტონი | 50.0 |
| ბოსტონი | 60,0 |
| დენვერი | 60,0 |
| ნიუ იორკი | 60.0 |
| პორტლენდი | 60.0 |
| ტორონტო | 60,0 |
| სიეტლი | 75.0 |
| იუტა | 75,0 |
| მილუოკი | 75,0 |
| გოლდენ სტ. | 100,0 |
| მემფისი | 100.0 |
| ფინიქსი | 100.0 |
| კლიპერსი | 150,0 |
| ორლანდო | 150.0 |
| მაიამი | 200.0 |
| ატლანტა | 250.0 |
| ვაშინგტონი | 250.0 |
| ჩიკაგო | 250.0 |
| კლივლენდი | 300,0 |





ბაჩო კორძაიას ფოტო

ახალი ნაკრები ჯერ ხეირიანად შეკრებილი არ იყო, რომ მწვრთნელთა კვარტეტმა მის გადახალისებაზე იწყო ფიქრი

# ნაკრები ისევ განახლდა

## კვარტეტმა ახალი ექსპერიმენტები წამოიწყო



ბაჩო კორძაიას ფოტო

ნატურალურ 10 ნომერს ოთარ ბარკალაიას სადებიუტო მატჩში 14 ან 15 ნომრად დაყენებას უპირებენ

კვირას საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ერთა თასის მეორე ტურში ესპანეთს ესტუმრება. პორტუგალიის შემდეგ დასვენებული ბორჯღალოსნები გუშინ დილით, ისევ მცხეთაში შეიკრიბნენ.

გასული კვირის შეკრებისგან ახლანდელი იმით განსხვავდება, რომ ეროვნული გუნდი ლოკომოტივურ ვარჯიშებს აღარ გამართავს და საესპანეთოდ მცხეთაში მხოლოდ განაცხადში შეყვანილი ბიჭები მოემზადებიან. შეიცვალა შემადგენლობაც. ლევან ღვაბერიძისა და რატი ურუშაძის ნაცვლად კვარტეტმა დავით დადუნაშვილსა და კახა უჩავას უხმო, აქაოდა, 2005 წლიდან საკვალიფიკაციო ჩათვლა იწყება და მანამდე ოპტიმალური შემადგენლობის დასაყენებლად ასეთი ცვლილებების კეთება ბლომად მოგვიწევსო.

მალხაზ ურჯუკაშვილისა და ზურაბ მჭედლიშვილის ესპანეთში თამაში ჯერ კიდევ პორტუგალიამდე გამოირიცხა. ისინი კლუბებს დაუბრუნდნენ და ადგილი ბადრი ხეხელაშვილსა და ლევან დათუნაშვილს დაუთმეს. გიორგი სუჯაშვილი და ბესიკ ხამაშურიძე შეკრებას ავადმყოფობამ გამოაკლო, ხოლო ირაკლი მაჩხანელს ტრავმა გაუმიზეზდა. ამ სამეულს დავით გასვიანი, ოთარ ბარკალაია და ვასილ კაცაძე შეცვლის.

„ახალი“ სახეებიდან სამი ლეგიონერია. დადუნაშვილი, კაცაძე და ხეხელაშვილი მცხეთაში შეკრებაგავლილებს ესპანეთში შეუერთდებიან.

თამაში 22 თებერვალს ბარსელონას მახლობელ, ტარაგონაში, იქაური დროით პირველის ნახევარზე (ჩვენებურად ოთხის ნახევარზე) დაიწყება და რომელილაც ესპანური ტელეარხითაც გადაიცემა. თუმც რომლით, ეს თბილისში ჯერ არავინ იცის. გაურკვეველია ქართველ მორაგბეთა მასპინძელი სასტუმროც. ესპანელებისგან შემოთავაზებული ძალიან ძვირი გამოდგა და რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტი ზაზა ქასაშვილი ოპტიმალურ ვარიანტს თავად ეძებს.

ბორჯღალოსნები ესპანეთს პარასკევ საღამოს, თბილისი-პარიზი-ბარსელონას რეისით გაფრინდებიან.

**ოთარ მაღლაკელიძე**

**საქართველოს ნაკრები**

**შერკინება**

ავთანდილ კოპალიანი
დავით დადუნაშვილი*
დავით ხინჩაგაშვილი
გიორგი კუთარაშვილი
დავით გასვიანი*
ილია ზედგინიძე (კაპ)
მამუკა გორგოძე
ლევან დათუნაშვილი*
ზვიად მაისურაძე
ბესიკ უდესიანი
რევაზ ბელქანია
კახა უჩავა*

**უკანა ხაზი**

ირაკლი მოდებაძე
ბიძინა სამხარაძე
ბობა კვინიხიძე
ვასილ კაცაძე*
კახა ალანია
თედო ზიბზიბაძე
ბადრი ხეხელაშვილი*
ოთარ ბარკალაია*
ნონო ანდღულაძე
ლექსო გუგავა

** — 22-კაციან განაცხადში პორტუგალიასთან მარცხის შემდეგ ჩაამატეს*

## ირაკლი მეძმარიაშვილი

# საკუთარი იმიჯის შესაქმნელად ჩვენ სიბინძურეს გვაფრქვევენ



ბაჩო კორძაიას ფოტო

*გუშინ საქართველოს პარლამენტმა ახალი მინისტრები დაამტკიცა. კულტურასა და სპორტს გიორგი გაბაშვილი გაუძღვება. ჯერ არ გარკვეულა, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი ახალ სამინისტროში ძველებური სქემით განაგრძობს მუშაობას, თუ განახლებულით, მანამდე კი მისი დავალიანება ყოველდღიურად იზრდება. გუშინვე დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილს გავესაუბრეთ*

— სპორტის დეპარტამენტის ახალ სამინისტროში შესვლას როგორ შეაფასებთ?

— გაერთიანებას იმედით ვუყურებ. მინისტრად მთავრობის წევრის ყოფნა ალბათ საქმეს გაგვიადვილებს, ბევრი პრობლემა მოიხსნება. თუნდაც ის რად ღირს, ამა თუ იმ საკითხზე სამინისტროებში სირბილი და სხვადასხვა სტრუქტურებთან ხვეწნა-მუდარა რომ აღარ მოგვიწევს.

— დეპარტამენტი კულტურისა და სპორტის სამინისტროში არსებული სახით უნდა შევიდეს თუ რაიმე სიახლეს ველოდოთ?

— ჯერ დაზუსტებით ვერაფერს გეტყვით. ახალი მინისტრი მუშაობას შეუდგება და ალბათ ეს საკითხიც მალევე გაირკვევა. მთავარია, სპორტისადმი ყურადღება და ინტერესი არ განელდეს და მიღწეულის კიდევ უფრო გასაუმჯობესებლად ვიბრძოლოთ.

— თქვენი აზრით, მაინც, როგორ აჯობებს?

— ალბათ საუწყებო დეპარტამენტად დარჩება, თუმც ეს მხოლოდ ვარაუდია. ამაზე მნიშვნელოვნად ახლა ჩემი მისამართით ბოლოხანს წაყენებულ ბრალდებებზე პასუხის გაცემა მიმაჩია. პიროვნებამ, რომლის სახელის ხსენების სურვილიც კი არ მაქვს, უამრავი სიბინძურე გადმოაფრქვია და ამ ყველაფერს მხოლოდ და მხოლოდ ერთი მიზნით, საკუთარი იმიჯის შესაქმნელად აკეთებს. მისი თქმით, თურმე სპორტის გაძღოლაც კი შეუთავაზებიათ. უამრავი დამსახურება მაქვსო, ამბობს და ლანძღავს დეპარტამენტს, რომლის ყველა თანამშრომელიც მასზე ბევრად დამსახურებულია. ან ერთი ოლიმპიური ჩემპიონი მაინც დაასახელოს, მასთან თურმე თხოვნით რომ მიდიან და შველას სთხოვენ. ეს ყველაფერი ტყუილია.

— უმთავრესი ბრალდება მაინც ფინანსურ გამჭვირვალობას ეხება. ნუთუ არ შეიძლება, ამ პრობლემას თუნდაც საანგარიშო განცხადებების გაკეთებით ეშველოს?

— დეპარტამენტში გამჭვირვალობა უმაღლეს დონეზეა. ნებისმიერ მსურველს შეუძლია, მაქსიმალური ინფორმაცია მიიღოს. არც მოხსენებებია ჩემთვის უცხო. ყოველ სამ თვეში ერთხელ ჟურნალისტებს ანგარიშს ვაბარებ და საეჭვოს აღარაფერს ვტოვებ.

**— ხშირია საუბარი სპორტის ბიუჯეტიდან თანხების განაწილებაზეც...**

— ისედაც მცირე ბიუჯეტით ყველა სახეობა რომ თანაბრად დავაფინანსოთ, შეიძლება 1 მედალიც ველარ ავიღოთ. არის პრიორიტეტული სახეობები, რომელთაც შედარებით მეტი ყურადღება სჭირდებათ, მაგალითად, ჭიდაობა და რაგბი.

— სამი წლის წინ რუმინეთში ერთა თასის მომგებ მორაგბეებს მაქსიმალურ დახმარებას დაპირდით. შარშან კი მსოფლიოს თასზე ძლივს წავიდნენ. რა მოხდა?

— ავსტრალიაში ჩასვლისა და ცხოვრების ხარჯებს რაგბის საერთაშორისო ფედერაცია თავის თავზე იღებდა. ასე რომ, ნაკრები იქ ყველა ვარიანტში წავიდოდა. პრობლემა წინასაჩემპიონატო შეკრება იყო. ჩვენ ვთვლიდით, რომ მისი საქართველოში ჩატარებაც შეიძლებოდა. მორაგბეები კი საფრანგეთს ითხოვდნენ. ნათქვამია, საბანი სანამდეც გაგწვდეს, იქამდე დაიფარეო, თორემ მეტი საკონტროლო მატჩის ჩატარება რომ უფრო მომგებიანი იქნებოდა, ამას რა მტკიცება უნდა. ბოლოს მაინც გამოიყო 56 ათასი ევრო სარეზერვო ფონდიდან.

— წლევანდელ ბიუჯეტზე რას გვეტყვით?

— ნოემბრის მერე დაფინანსება საერთოდ არ მიგვიღია. შარშანდელი წლის დავალიანება 282 ათასი დაგროვდა. იანვარ-თებერვალში ორი ამდენიც მიემატა. მარტში კი სულაც 800 ათასია საჭირო.

**— ამ ვალების თაობაზე ახალ მინისტრთან ხომ არ გისაუბრიათ?**

— არა, მაგრამ უახლოეს დღეებში აუცილებლად მოვახსენებ.

**ოთარ მაღლაკელიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მე ლიდერი ვარ!

## ლებრონ ჯეიმსმა მზის ქვეშ ადგილი იპოვა

*დღეს მთელი ამერიკა ლებრონ ჯეიმსს შესციცინებს, სუპერმონაცემებისა და უკვე ვარსკვლავურად მოთამაშე 19 წლის ბიჭუნას. ის უკვე არის ვარსკვლავი და მილეთი ელოდება, რომ ლებრონი მალე ჯორდანი გახდება. კალათბურთის ამ პატარა გენიოსს რიგიანად ჰაისქულიც არ დაუმთავრებია და საბანკო ანგარიშზე უკვე 100 მილიონზე მეტი უდევს. მოკლედ, რაღა უნდა ვთქვათ, ჯობს, თავად ჯეიმსს მოვუსმინოთ, რომელსაც ეს ინტერვიუ ამას წინათ ისტ რეზერფორდში ჩამოართვა „ინსაიდჰუპის“ ჟურნალისტმა*



— როგორ აღწევთ თავს ბავშვებისა და ფანების იმ უშველებელ ჯგუფს, ნებისმიერ ქალაქში ჩასვლისას რომ გხვდება?

— ეს რა რთული კითხვა დამისვი, როგორ უნდა ვაღწევდე? ყველას რას ავუვალ, რამდენსაც შევძლებ, იმდენ ავტოგრაფს ვარიგებ, უმრავლესობა დაუკმაყოფილებელი მრჩება.

— ფანების სიმრავლე ხომ არ გთრგუნავს?

— არა, პირიქით, მე მადლობას ვწირავ ღმერთს, რომ კალათბურთის თამაში ვიცი და ამით ხალხს სიამოვნებას ვანიჭებ.

— შენ ახლახან შეგისრულდა 19 წელი, თუმც ისე თამაშობ, როგორც ზრდასრული მამაკაცი.

— მე ასეთ რაღაცეებს არ ვაქცევ ყურადღებას, ვთამაშობ და არ ვეძიები, რატომ. იმისიც მადლობელი ვარ, რომ ყოველდღე ვიღვიძებ და ჩემს საქმეს ვაკეთებ.

— შენ თავიდანვე კარგად თამაშობდი, მაგრამ ამ ბოლო დროს მართლაც დიდებულად ირჯები. რა ხდება, რამ გაგიაღვილა თამაში?

— არაფერი ისეთი, უბრალოდ, შევეგუე „კლივლენდს“. ახლა უფრო კომფორტულად ვგრძნობ თავს ჩემს გუნდელებთან, მწვრთნელებთან და ვიცი ჩემი როლი. თავიდან თითქოს უფუნქციოდ ვიყავი, ბევრ რამეს ვერ ვაცნობიერებდი, ნბა-ს გუნდი რომ სულ სხვაა. დღეს ისე ვგრძნობ თავს „კლივლენდში“, როგორც ერთ მეტოქესთან პირისპირ დაჩენილი.

— და რა არის შენი როლი?

— მე ვარ ლიდერი, „კლივლენდს“ ვუძღვები და ყველა გაფაციცებით შეჰყურებს ჩემს მიერ ჩაგდებულ ყოველ ბურთს. მე რაც მაქვს, ეს არაა მხოლოდ ქულების კეთების ალღო, სხვა რაღაცეების კეთებაც შემიძლია.

— 19 წლის ლიდერი?

— მე ყოველთვის ვლიდერობდი, სადაც კი ვთამაშობდი და ამაში ის არ მიშლიდა ხელს, რომ ყველაზე უმცროსი ვიყავი. ყოველთვის ვუსწრებდი ჩემს ასაკს. ეს ხომ თქვენც აღნიშნეთ, დიდი კაცივით თამაშობო.

— შენი თავისთვის გაქვს რამე დასამტკიცებელი?

— ალბათ, არაფერი. მე არავისთან არ დავიწყებ იმის მტკიცებას, რომ კალათბურთს კარგად ვთამაშობ. ვიცი, რომ შეიძლია და ეს იცის ყველამ.

— რომელ არენაზეც არ უნდა გამოჩნდე, ბილეთები უკლებლივ იყიდება. როგორ მოგწონს ეს?

— ძალიან ვხალისობ. მადლობა ღმერთს, რომ კალათბურთის თამაშის ნიჭი დამამადლა. მაგრამ ვფიქრობ, რომ მარტო ჩემს საყურებლად არავინ მოვა. ჩემს გარდა მოედანზე კიდევ ბევრი ვინმეა საინტერესო.

— საიდუმლო თუ გაქვს?

— კი, როგორ არა, მაგრამ არ გეტყვით. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ მოედანზე არავითარი საიდუმლო არ მაქვს.

— შენც თუ აკეთებ ისეთ რამეებს, რასაც 19 წლის ასკის ბიჭები აკეთებენ?

— ბევრი მისვამს მაგ კითხვას, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ გავიგე, რისი თქმა უნდათ. მე მე ვარ და არ ვიცი, რას აკეთებს უბრალო 19 წლის ბიჭი. ალბათ კოლეჯში სიარულს გულისხმობთ. მე მოედანზე ყოფნა მირჩევნია, ვიდრე კოლეჯში.

— ახლა თუ შეგიძლია, გახვიდე ქუჩაში და გაიარო ყოველგვარი დაცვის გარეშე? მაიკლ ჯორდანს ეს არ შეეძლო.

— არ ვიცი, ალბათ კი. ისე, სიარული არ მიყვარს და არც დავდივარ ბევრს.

— რა არის ისეთი, რისი მიღწევაც ყველაზე მეტად გეძნელება?

— გამარჯვება, რადგან ლიგაში ბლომად ძლიერი გუნდები და კალათბურთელები არიან. მოგებას ოქროს ფასი აქვს. ჰაისქულში ყველაფერი გაცილებით იოლი იყო.




ტიმ ტომასი და კიტ ვან ჰორნი ერთმანეთის მაისურებს გადაიცმევენ

# ტომასმა ნიუ იორკი გაცვალა

**ვერა და ვერ** მოისვენა „ნიუ იორკ ნიქსის“ გენერალურმა მენეჯერმა აიზია ტომასმა, თავის დროზე „ტორონტოდან“ და სულ ახლახან „ინდიანადან“ დათხოვნილ აიზიას არ უნდა „ნიუ იორკიც“ ასე იძულებით დაატოვებინონ, ამიტომ გაცვლას გაცვლაზე აკვარახჭინებს და ბოლო წლებში გაუფერულებული „ნიქსისთვის“ სასურველ შემადგენლობას ეძებს.

ოლ სტარის შემდეგ მან „ნიქსში“ სეზონის დასაწყისში გადასული და გუნდის მესამე ბომბარდირად ქცეული კიტ ვან ჰორნი (მატჩში საშუალოდ 16,4 ქულას აკეთებს) „მილუოკაში“ გაუშვა, სანაცვლოდ კი „მილუოკისგან“ ტიმ ტომასი და „ატლანტასგან“ ნაზრ მუჰამედი მიიღო.

გაცვლა ერთობ რთული იყო და სამი გუნდის „ნიუ იორკის“, „მილუოკისა“ და „ატლანტას“ მოთამაშეები ასე გადანაწილდნენ

კიტ ვან ჰორნი — „ნიუ იორკიდან“ „მილუოკში“ გადავიდა;

ნაზრ მუჰამედი „ატლანტადან“ — „ნიუ იორკში“;

ტიმ ტომასი „მილუოკიდან“ „ნიუ იორკში“.

მაიკლ დოლიკი „ნიუ იორკიდან“ „ატლანტაში“;

ჯოელ პრჟიბილა „მილუოკიდან“ „ატლანტაში“;

„ნიუ იორკმა“ „ატლანტას“ ასევე უფეშქაშა 2005 წლის დრაფტის მეორე წრეში არჩევნის გაკეთების უფლება.

აღსანიშნავია, რომ ოდესღაც ერთობ პერსპექტიულ მოთამაშედ მიჩნეულმა 208-სანტიმეტრიანმა კიტ ვან ჰორნმა „ნიუ ჯერსიში“ გატარებული ოთხნახევარი სეზონის შემდეგ ბოლო ორნახევარ სეზონში კიდევ ორ გუნდში თამაში მოასწრო და აგერ მესამესაც შეხვდა.

„ჩვენ მებრძოლი და ათლეტური კალათბურთელები გვჭირდება — ასე ხსნის აიზია ტომასი თეთრი სნაიპერის გაცვლის მიზეზს — ვან ჰორნი ვერ მოერგო „ნიქსის“ ძალისმიერ სტილს“.

საეჭვოა ვან ჰორნი „მილუოკის“ მოერგოს, მას ხომ ადრე თუ გვიან ყველა გუნდი იწუნებს და თავიდან იშორებს.

# ვებერი ჯანმრთელიც ვერ შეუბერავს

**მოედანს** უბრუნდება „საკრამენტო კინგზის“ ტრავმებით გატანჯული სუპერვარსკვლავი კრის ვებერი. ლიგის ერთ-ერთმა უჩაუქესმა თავდამსხმელმა ბოლოს და ბოლოს მოირჩინა მარცხენა მუხლი, რის გამოც მას შარშანდელი პლეი ოფის შემდეგ არ უთამაშია. თუმც არც მთლად ისეა საქმე, რომ მოზვერა ვებერს „საკრამენტოს“ პირველივე მატჩში ხალიჩებს დაუფენენ მოედანზე, მოდი, გენაცვა, ითამაშეო. მას სათადარიგო სკამზე მოუწევს ჯდომა მანამ, სანამ ამას ნბა-ს დისციპლინარები ჩათვლიან საჭიროდ.

საქმე კი ის გახლავთ, რომ ვებერს აკრძალული აქვს თამაში, რაკი მან გასული წლის ივნისში სასამართლოს წინაშე იცრუა, მავანი ედ მარტინისგან 616 ათასი დოლარი არ ამიღია სტუდენტობის დროსო.

ედ მარტინი დღეს იმქვეყნადაა, თავის დროზე კი მიჩიგანის უნივერსიტეტის საკალათბურთო კლუბის სელექციონერი იყო, სადაც ახალგაზრდა ვებერის ვარსკვლავმა ამონათა.

მოგეხსენებათ, სტუდენტურ კალთბურთი და ხელფასზე თამაში სხვადსხვა მცნებებია, ვებერი კი იმდენად ძლიერი და საჭირო კალათბურთელი იყო, რომ მიჩიგანში მას ჩუმჩუმად ფულს უხდიდნენ. ეს საქმე ამ ბოლო წლებში წამოტივტივდა და როგორ დასრულდება, ჯერ არავინ იცის.

ვებერის სიცრუე თავად კალათბურთელის აღიარებით დადგინდა — კედელთან მიყენებულმა თქვა, მოსამართლეს მოვატყუეო. საკრამენტოელებს სჯერათ, რომ ყველაფერი სასიკეთოდ დასრულდება და მათი სუპერფორვარდი მალე გავა ფიცარნაგზე, აკი ვებერი განაცხადში უკვე შეიყვანეს ლოურენს ფანდერბურკის ნაცვლად.

**ირაკლი პერტაია**



კრის ვებერი ვაის გაეყარა და ვუის შეეყარა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თორთლაძემ დროშა გამოიცნო

*გვეხსომებათ ზემელზე გამოკრული „ყაზბეგის" უზარმაზარი რეკლამა, რომელზეც ალბეჭდილი იყო მწვერვალის ყინულოვან ფერდობზე ამავალის ზურგჩანთამოკიდებული და წრიაპებამოკრული მთასვლელი, რომელიც „გვაუწყებდა": „ჩემპიონები სვამენ ცივ ჩაის". ეს სარეკლამო „ტრიუკი" იყო, თორემ მთამსვლელები ცივს კი არა, ცხელ ჩაის ეწაფებიან სულმოუთქმელად*

გამოკნაკლისი არც ყინულოვან ფერდობზე ამავალი ის მთამსვლელია, რომელიც თბილისელი ალპინისტი გია თორთლაძე გახლავთ.

გია თორთლაძე ამას წინათაც „აეკრა" ყინულის კედელს, მწვერვალზეც ავიდა და იქიდანაც მშვიდობით დაბრუნდა, გუშინ კი „ყაზბეგმა" ეს ამბავი თავისი ლუდით დაასველა.

გუშინდელ შეხვედრაზე თუ პრესკონფერენციაზე ვამბობთ, რომელიც „ყაზბეგის" ოფისში გაიმართა, თორემ დავად თორთლაძის ლაშქრობა კარგა ხნით ადრე მოეწყო.

საუბარია ტიან-შანის მთებში აღმართულ, იქაური მასშტაბებით პატარა, 4 500 მეტრიან მწვერვალ კარონაზე, რომელიც ტექნიკური თვალსაზრისით ხელწამოსაკრავი კი არა, საკმაოდ რთულია. იქიდან დაბრუნებულ გია თორთლაძეს შეხვედრა-პრესკონფერენცია გუშინ მოუწყვეს და მანაც გვიამბო:

— მე ზოგჯერ მოსიმაღლე მთამსვლელს მიწოდებენ, რადგან რვაათასიან მწვერვალებზე მოწყობილ ექსპედიციებში ხშირად ვმონაწილეობდი, მაგრამ ბოლო წლებში ზამთრობით ყინულოვანმა კედლებმაც გამიტაცა. ვცდილობ ტექნიკურად ამგვარი რთული მარშრუტების გავლას. ოთხი ასეთი განსაკუთრებით რთული მარშრუტი გავიარე. ამ ზამთარს პამირში, შვიდიათასიან ლენინის პიკზე, რომეიც ადრეც დამილაშქრავს, კიდევ ერთხელ ასვლას ვგეგმავდი, მაგრამ იქ ჩასული მეც და ბევრი სხვაც შეუძლოდ გავხდით. ამასთან, ერთი ახალგაზრდა მთამსვლელი ფერდობს მოწყდა, მთელი 600 მეტრი იფრინა და დაიღუპა. ყოველივე ამის გამო ამ მწვერვალზე ხელი ავიღეთ. ზოგი შინ დაბრუნდა, ზოგმაც სხვა რაიონში გადაინაცვლა. მე ერთ ჯგუფთან ერთად ბიშკეკში დავბრუნდი, იქიდან კი ისევ მთას მივაშურე კარონას მისადგომებისკენ. იქ ბევრმა მთამსვლელმა მოიყარა თავი, მაგრამ თითქმის ყველამ პირი იბრუნა, რადგან საშინელი ყინვა 20-30 გრადუსი იყო. ამას ძლიერი ქარიც ერთვოდა. მწვერვალზე რუს სტანისლავ სტაშევსკისთან ერთად წავედი. 800 მეტრიანი მოლაპლაპე ყინულოვანი კედელი გვქონდა ასავლელი. გვინდოდა ღამისთევის გარეშე ავსულიყავით, რადგან იმ ციცაბოზე კარვის დასადგმელი ადგილი არ იყო. ამიტომ ღამის ოთხ საათზე ფარნების შუქზე გავედით, მწვერვალზე კი საღამოს ხუთ საათზე ვიყავით. იქ „ნაციონალების" დროშა ავაფრიალე. მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი ეს დროშა რომ უკვე სახელმწიფო დროშა იყო. ასე იყო თუ ისე, ძალზე მიხარია, რომ ჩვენი ახალი ეროვნული დროშა მწვერვალზე პირველად მე ავაფრიალე, თანაც კარონაზე ანუ გვირგვინზე. ბოლოს ქვემოთ კვლავ სიბნელეში, ფარნების შუქზე 20 საათზე დავეშვით — გვიამბო გია თორთლაძემ.

მერე მომავალ მარშრუტებზეც ჩამოვარდა სიტყვა. ჩემი უახლოესი მარშრუტი საქართველოს პარლამენტისკენ გადისო, მოკლედ მოგვიჭრა თოთრლაძემ, რომელმაც საპარლამენტო არჩევნებში თავის მომავალ კენჭისყრაზე მიგვანიშნა. თუმცა, ალპინისტური გეგმებზეც „ისაუბრა". თქვა ამაზე არაფერს გეტყვით, რადგან როცა ჩემი გეგმები გავამხილე, მისი განხორციელება სხვამაც მოინდომა და სპონსორიც წამართვაო. თუმცა მაინც გაგვიმხილა, სადღაც რაღა უდაბნოს გავლასაც ვაპირებო.

კარონაზე ამ ასვლის ერთ-ერთი სპონსორი გოგი თოფაძე, ცხადია გუშინდელ შეხვედრას ესწრებოდა, რომელმაც ბევრ პრობლემატურ საკითხზეც ისაუბრა, მაგრამ ეს უკვე სხვა თემაა.

**ავთანდილ ჭყვიშელი**



სტანისლავ სტაშევსკის ფოტო

გია თორთლაძემ გვირგვინზე ასვლა
ეროვნული დროშის აფრიალებით დააგვირგვინა



ზურაბ [illegible] ფოტო

გუშინდელ შეხვედრაზე: გია თორთლაძე და გოგი თოფაძე

**სარბიელელები მწუხარებით ვიუწყებით,**
**რომ გარდაიცვალა პოეტი და ჟურნალისტი**
**ლაშა გახარია**
**და სამძიმარს ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს**

---

ჰოკეი

## რეგულარული ჩემპიონატი

# რუსმა ათასი შეასრულა

— 16 თებერვალი —

**პიტსბურგი 4:8 ტორონტო**
*0:3 3:2 1:3*
0:1 ტაკერი (12), 0:2 ნოლანი (4), 0:3 რენბერგი (16), 1:3 ჯეკმენი (24), 2:3 სუროვი (28), 2:4 ნოლანი (33), 2:5 სუნდინი (34), 3:5 მოროზოვი (37), 3:6 ანტროპოვი (43), 4:6 ტარნსტრიომი (47), 4:7 სტეიჯენი (47), 4:8 მაკეიბი (53)

„პიტსბურგის" ქომაგებს ძეგლი უნდა დაუდგან. „პინგვინები" სულ აგებენ საშინაო მატჩებს, მაგრამ მათი უერთგულესი ფანები იხტიბარს არ იტეხენ და მომავალს იმედის თვალით შესცქერიან. 10 000-ზე მეტი ადამიანი ორშაბათსაც სასწაულის მოლოდინში იყო, მაგრამ ამაოდ. ტორონტოელები პირველ მესამედშივე გაბატონდნენ ყინულზე. განსაკუთრებით კანადური კლუბის რიცხვმრავლობის ბრიგადებმა გამოიჩინეს თავი, რომელთაც 5 ცდიდან 4(!) გამოიყენეს. ასე რომ, მატჩის დასრულებამდე კარგა ხნით ადრე გახდა ნათელი, რომ „პიტსბურგი" ლიგის ახალ ანტირეკორდს, ზედიზედ მე-12 საშინაო მარცხს ვერ გადაურჩებოდა. ასეთი რამ კი არ ახსოვს ნჰლ-ის 87-წლიან ისტორიას. საერთო ჯამში „პიტსბურგი" ზედიზედ მე-15 დამარცხდა, თუმც ეს ჯერ ახალი ანტირეკორდი არ გახლავთ.

**ბუფალო 7:2 ატლანტა**
*2:0 2:0 3:2*
1:0 შატანი (15), 2:0 ბრაირი (20), 3:0 კოტალიკი (26), 4:0 დელ მორი (33), 5:0 შატანი (41), 5:1 რობიტაილი (42), 6:1 შატანი (43), 7:1 შატანი (50), 7:2 კოვალჩუკი (52)

**რეინჯერსი 1:4 ოტავა**
*0:0 1:1 0:3*
1:0 ჰოლიკი (16), 1:1 ჰავლატი (18), 1:2 ხარა (48), 1:3 ლანგფელდი (48), 1:4 მოლინსკი (55)

**დეტროიტი 2:1 ედმონტონი**
*1:0 1:0 0:1*
1:0 დრეიპერი (14), 2:0 შნაიდერი (31), 2:1 სტოლი (55)

**ანაჰაიმი 3:1 დალასი**
*0:0 2:0 1:1*
1:0 ფიოდოროვი (24), 2:0 სიკორა (24), 2:1 გერინი (47), 3:1 ლეკლერკი (60)

წინა მატჩში ანაჰაიმელი სერგეი ფიოდოროვი პირველი რუსი ჰოკეისტი შეიქნა, ვინც ნჰლ-ში 1000-ქულიან ზღვარს უწია.

**კოლუმბუსი 4:2 ნეშვილი**
*3:0 0:0 1:2*
1:0 მალოტრა (8), 2:0 მალოტრა (9), 3:0 შპაჩეკი (13), 3:1 ჯონსონი (43), 4:1 ლინგი (55), 4:2 ლეგვანდი (57)

**ფილადელფია 2:5 სან ხოსე**
*1:2 0:1 1:2*
0:1 მარლო (2), 0:2 შტურმი (9), 1:2 ლეკლერი (16), 1:3 ტორნტონი (34), 1:4 ჩიჩუ (51), 1:5 რიჩი (55), 2:5 განიე (56)

ფილადელფიელ ჯერემი რენიკის კარიერას საფრთხე ემუქრება. „რეინჯერსთან" წინა მატჩში ბორის მარინოვის დარტყმის შემდეგ მას შაიბა ყბაში მოხვდა. კვირას დაადგინეს, რომ გარდა იმისა, რომ ყბა გაუტყდა, ტვინის შერყევაც მიიღო, თან კარიერაში მეცხრედ. მაინც არ კარგავს იმედს, ამბობს, პლეი ოფამდე დავბრუნდებიო.

**სენტ ლუისი 4:2 ფინიქსი**
*1:0 1:1 2:1*
1:0 პრონგერი (5), 2:0 უეიტი (27), 2:1 დოუნი (32), 2:2 სავაჟი (45), 3:2 მაიერსი (56), 4:2 რაიკროფტი (60)

**კოლორადო 0:1 ვანკუვერი**
*0:0 0:0 0:1*
0:1 დ. სედინი (43)

**კაროლინა 3:1 ფლორიდა**
*2:0 0:0 1:1*
1:0 ჰილი (15), 2:0 ბრენდლი (15), 2:1 კოლნიკი (60), 3:1 ბრინდამორი (60)

**აილენდერსი 1:1 ლოს ანჯელესი**
*0:0 0:1 1:0 0:0*
0:1 კლეტი (22), 1:1 ე. შამი (41)



ატლანტელი ენდი სატონი ბუფალოელ ადამ მაირს სცემს

---

ფეხბურთი

## ინგლისი

**მეორე დივიზიონი**
**გადადებული მატჩები**

ბრიმსბი 1:2 ბრისტოლი
ტრანმერი 3:0 პლიმუთი

**მესამე დივიზიონი**
**გადადებული მატჩები**

დარლინგტონი 1:2 ნორთჰემპტონი
როვერსი 1:1 ჰადერსფილდი
კემბრიჯი 2:2 კარლაილი
იორკი 1:4 ლინკოლნი

**კონფერენსლიგა**
**გადადებული მატჩები**

შრიუსბერი — ალდერშოტი გადაიდო
ტელფორდი — სკარბორო გადაიდო

## შოტლანდია

**მესამე დივიზიონი**
**გადადებული მატჩი**

ალბიონი 1:4 სტრანრარი

## ჰოლანდია

**მეორე დივიზიონი**
**გადადებული მატჩი**

ემენი 1:3 ჰერაკლესი

## ამხანაგური მატჩები

**ახალგაზრდულები (U-21)**

თურქეთი 2:0 დანია
პორტუგალია 4:1 შვედეთი
ესპანეთი 2:1 ნორვეგია
ბელგია 0:1 საფრანგეთი
გერმანია 1:0 შვეიცარია
საბერძნეთი 1:1 იტალია
ინგლისი 3:2 ჰოლანდია
მაკედონია 1:1 ბოსნია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცხენებით ყინულზე

შვეიცარიის სამთო კურორტ სენტ მორიცში ახლა გახურებული სათხილამურო სეზონია, თუმც იქ სხვა საზამთრო გართობასაც მისდევენ. მაგალითად, მოყინულ ტბაზე ცხენდაცხენ თხილამურობას, რაც ხიფათიანი, მაგრამ შეგრძნებებით მდიდარი რამ ჩანს.



REUTERS სენტ მორიციდან



REUTERS დონეცკიდან

# ქალის რეკორდი

ჭოკით ხტომის დიადი სერგეი ბუბკა რუს ელენა ისინბაევას ეხვევა და ულოცავს. დიდ რეკორდსმენს უხარია ყოველი ახალი რეკორდი, ელენამ კი ეს წამია, დაძლია 4,83 მეტრი დონეცკში მიმდინარე შეჯიბრზე და მსოფლიო რეკორდსმენი შეიქნა.

# ქორწილი და თამაში

დანიშ კანეირა პაკისტანელი მოკრიკეტეა, რწმენით ჰინდუ მუსლიმთა ქვეყანაში. ამიტომ მისი ქორწილი პირმშვენიერ დჰარმიტასთან ჰინდური წესებით ჩატარდა. იგივ კანეირა იქნება პაკისტანის იმ ნაკრების წევრი, რომელიც ინდოეთის ნაკრებს უმასპინძლებს. 14 წელიწადია, ამ ორი მოშუღარი და ახლა დამომმინებული ქვეყნის გუნდები ერთმანეთს არ სწვევიან.



REUTERS ყარაჩიდან

# გოგოები მეფესთან

ბელგიის მეფემ ალბერ II-მ (მარცხნივ) სასახლეში მიიწვია ბელგიური ჩოგბურთის ვარსკვლავები ჟუსტინ ენენი და კიმ კლაისტერსი და პრემიერმინისტრ გი ვეროფსტადტთან ერთად მათ სახელმწიფო ჯილდოები გადასცა, ვითარცა რჩეულ მოღვაწეებს.



REUTERS ბრიუსელიდან



REUTERS სიდნეიდან

# ძველი ჩემპიონი გარდაიცვალა

პერტში 78 წლისა გარდაიცვალა ავსტრალიის სპორტის ქალი-ლეგენდა შირლი სტრიკლენდი, რომელიც ჯერ კიდევ 1956 წელს გახდა ოლიმპიური ჩემპიონი 4X100 ესტაფეტაში. შირლი სტრიკლენდი სარბენ ბილიკზე ბოლოჯერ სიდნეის ოლიმპიადის გახსნის ცერემონიალზე გამოჩნდა, სადაც ოლიმპიურ ჩირაღდნის ტარების პატივი ერგო.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge